

კაჟა ეტზისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 36

2020



მთ. რედაქტორი

**მურმან პაპაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-843-4 (36 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, როგორც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლი იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, როგორც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაგული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გვირაღთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გვირაღთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გვირაღთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცენიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სსპრთმშპ-ს განათლებისა და სსპრთმშპ-ს ვიცე-პრეზიდენტი სოფიალუკა შრტიმთმშპ-ს „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბინის, სოვის, იყალტოს საპატრო მონაწილის, ათას-ათას ხუთასზე მეტზემდინარი ტომეშვილის „კოლხური მსაღმუშავე“ (ოცდაათი-ათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური მსაღმუშავე“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამოცემის დასრულება „შინგვესალმა“ გამოცემა პრეზიდენტის ხუთასზე მეტზემდინარი, უმაღლეს პრეზიდენტულ დონეზე შესრულებული ტომეშვილი. 2019 წლის მიწვევებს გამოვიდა „კოლხური მსაღმუშავე“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგებლებმა დასაბამად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანტიკონსერვაციის, აბრეშვი, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართული და უცხოელი პოეტების, მმართველობისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ვაჟისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაჟანტურ აღზიდზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური მსაღმუშავე“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატრო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სსპრთმშპ-ს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰეპს მუდღე – ბილდა სუბიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნათა და ლილა. იგი – მმართველობისა და ორი და).





## პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:


„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღამიწვის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი,

ჯუმბერ ღეჟავას სახელოების მინინერებათა

საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად შეხვდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამიერ

(გაგრძელება)

სისხლისფერი ყაყაჩოების შუქის ბრიალი – ქართულ მიწაზე დაღვრილი სისხლისა და ჭკეშმარიტი რაინდული გზნების სიმბოლოა.

ვაჟა ეგრისელი ადამიანურ გრძნობათა სიღრმეებს სოციოლოგის თვალთ ხედავს, გულდასმით იხილავს სულის უფაქიზეს მოძრაობებს და სოციალურ განზომილებამდე ამადლებს. ადამიანი და საზოგადოება, მათი ურთიერთკავშირი, მიზიდვისა და განზიდვის ძალები, საზოგადოების ახსნა ადამიანის მეშვეობით, ან ადამიანთა გაგება საზოგადოებრივი ცხოვრებისეული თვალთახედვით, – აი, ყოველივე ეს, რაც უკვე დახელოვნებული პოეტის ცხოვრების შემოქმედების თემად იქცა.

როცა ვაჟა ეგრისელის ლირიკას ვკითხულობ, უნებურად ვასკვნი, მშვენიერია ადამიანი, ამოუწურა-





ვია მისი შეხედულებანი, მისი პიროვნების კეთილ-შობილება, სულიერი სიდიადე, ზნეობრივი სინამდვილე, ესაა არსი კაცობისა და გამონაკლისი აქედან რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი ადასტურებს იმ ნათელ დასკვნას, ეს არ იყო რევლამენტი, არამედ რწმენა და იმედი... მისი გონებრივი საღაროს კუნჭულებში ყველაფერი ეს კუთვნილ ადგილს იკავებს. პოეტის აფექტური მესხიერება ამოატივტივებს ხოლმე საჭირო ინფორმაციასა და აუცილებელ დეტალს.

უპირატესად სიცოცხლის წყურვილი, ხოლო უპირველესად მამულის, მშობელი კუთხის სიყვარული ამღერებს ალბათ ხმატკბილ იადონსაც და ხედვა, სმენა და გემოვნება გააფაქიზებულ პოეტსაც, რომელიც ხელოვნების ყველა დარგის: მუსიკის, ფერწერის, ქორეოგრაფიისაც და მჭერმეტყველების ყველა სფეროს მომცველ ადამიანად მესახება.

სრული ჭეშმარიტებაა: ლექსს ვერავენ დაწერს, თუ ლამაზ, მიმზიდველ ფერებში არ ესახება. ირგვლივ გამეფებულ ქაოტურ ხმაურში კომპოზიციურად აწყობილ ტკბილ ხმებს ვერ გამოიცნობს, სხეულის სინარნარე თუ არ ატკობს, სიტყვის ძალა და სიმჭევრე სულს თუ არ უმაღლებს.

პოეტი ცხოვრების სიღრმეებიდან ზემოაზიდულ მადანს ინტენსიურად ამუშავებს თავის შემოქმედებით ლაბორატორიაში. იგი ადამიანთა სულშიც იმზირება. სიტყვის სინედლე თან გამოჰყვა, რადგან



თავის ბუნებით ის სიცოცხლის, ცისა და მიწის, ამქვეყნიური მშვენიერების დაუცხრომელი მომღერალია.

ერთ თავის ლექსში ვაჟა ეგრისელმა ასე გადმოგვცა მამულის სიყვარულის ჭეშმარიტი განცდა:

\*

„ბაღში კვირტების დგას ჟრიაბული,  
მოდის აპრილი ყვავილებით  
ვითარცა თამთა.

ელავს მყინვარი –  
ბროლის ყელი  
ჩემი მამულის.

და... საქართველო ზაფხულ და ზამთარ  
დგას მსუბუქ ბოლში  
ია-იების“.

ეს უკვე მთლიანი საქართველოა, ფერებისა და კონტურების საოცარი სინატიფე და როგორც ბატონი კოტე მელაშვილი ბრძანებს: „არის აქ ქართული სიტყვის ჯანი და ჯავარი – ლექსის სულ ცხრა სტრიქონში ჩატყულია დასამახსოვრებელი მხატვრული სურათი, ყოველი სიტყვის თავის ადგილზე გაცხადებული ხელოვნების არაერთი დარგი. აზრისა და რითმების, რიტმის პასაჟის ამღერებით ამადღებულები საგნები და მოვლენები“.



პოეტი ახალ სამყაროს ჭკერეტს. ეძებს და პოულობს მრავალფეროვან საღებავებს და დეტალებს, რათა ღრმად გამოხატოს ამაღლებული გრძნობები. მწვერვალებიდან მომწყდარი სიგრილე, ფეხისწვერებზე შემდგარი ზღვის მოახლოებული გრიგალი, კანგამსკდარი ბროწეულების ცეცხლის მგზნებარება, ნუშის ყვავილების სუნთქვა და კოლხეთის ცის თეთრი სახე, რომელიც იღუმალებითაა გარემოცული.

შემოგთავაზებთ რამოდენიმე ლექსს. (მათ შორის ერთ-ერთს, რომელიც წინა წიგნშიც მოვიტანეთ).

\*

„მომწუხრის ბაღში ფოთოლ-ფოთოლ  
ჩამოდის ღამე,

ისმის შრიალი

გაზაფხულის

ფერადი კაბის,

სიმწვანეს იცვამს ჩემი მამული.

მნათობთა ცეცხლზე (შუქით სავსე)

ღუღს მთვარის ქვაბი

ოდნავ წახრილი და შეკვამლული“.

ამ ლექსში ძალუმად შეიცნობა კოლხეთი. კითხულობ ამ ლექსს და მთელი არსებით გრძნობ ბუნების მოულოდნელ გაკეთილშობილებას და უეცრად



პირველქმნილი სიღალისა და სისადავის, დიდი ხნის განუცდელი შეგრძნება გიმორჩილებს.

კოლხეთი პოეტისათვის იმედის ქოხის სადგომი ზღვისპირეთია და ისეთივეა ახლაც, როგორც ის ლეგენდებშია გაცხადებული:

\*

„ლეგენდის ტოტზე ჰკიდია მზე  
ოქროს საწმისი.

არ ჩანს აიეტ...

მე მედეას დალატს აქ ვეძებ,  
რადგან ზღვისკარად  
ისევ მიდგას  
იმედის ქოხი.

წარსულს ვაძოვებ ჩემს დამეებს –  
ოქროსფერ ვერძებს,  
მე – შორეული ლეგენდიდან  
მოსული კოლხი“.

ვაჟა ეგრისელის კოლხურ პეიზაჟებს ერთი დამახასიათებელი თვისება გამოარჩევს. პოეტი რაღაც დაუცხრომელი, დღესასწაულებრივი ღვლვით განიცდის თითქმის ყველას და ყველაფერს, რაც კოლხეთთან და მის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთანაა დაკავშირებული. თითოეული ლექსი განუმეორებე-



ლია, განუმეორებელია მისი ხედვა, ხილვები. იგი უბადლო მეოცნებეა და ჰიპერბოლის დიდოსტატი.

პოეტი სამშობლოს ღვიძლი შვილია. მის პიროვნებაში და პოეზიაში გამოხატულია კოლხური სული, მისი ყველაზე დამახასიათებელი და განუმეორებელი თვისებები. ერთ ლექსში, რომელიც მიძღვნილია აწ გარდაცვლილ პოეტ თეიმურაზ აბულაძისადმი, ამბობს:

\*

„წამოიმართნენ მთები –  
სამეგრელოს და ურთის  
და ვხედაე! მყინვარს თოვლის –  
თეთრი ხელები უთრთის.

დავალ...

მამულში ვეძებ,  
ვეღარ ვპოულობ ვერსად, –  
სხვა აჯამეთის ტყეს და  
იებით მყვირალ ფერსათს“.

აქ მთიანი კოლხეთის მეტაფორული სურათია. მსჯელობის სიმძაფრე, შეხედულებების, ფსიქოლოგიური დაკვირვებების ორიგინალურობა და სიმართლე – განსაცვიფრებელია. ვაჟა ეგრისელი კოლხეთის ბუნების სიმშვენიერით თავბრუდახვეულია. იგი ბუნებას ხან პირველი თოვლის სისპეტაკედ, ხან ია-



სამანის ლურჯ გალობად აღიქვამს. პოეტის ლექსებში ჩვენ გვხვობლავს ხასიათისა და განწყობის ბუნებრიობა. რიტმისა და მელოდიის სიმაღლე:

\*

„ღვთაებრივს,

მაგრამ ელვით დასერილს

სახეს,

ცა მაღავს ღრუბლების ჩადრით.

მზე ღამის გზებით აღმოსავლით მიეხეტება...  
ზღვა მთასველელებით –

ზღვა მთასველელებით –

სალ კლდეებზე

ადის და ჩადის,

საკუთარ ქერქში ვეღარ ეტევა...“

ვაჟა ეგრისელის კოლხური პეიზაჟები აღსავსეა მოულოდნელი პოეტური ასოციაციებით. დიახ, ასოციაციაა ვაჟა ეგრისელის მხატვრულ სახეთა საფუძველი:

\*

„ენძელებით და იებით

მოდინ ღამეთა მთევარი –

ლურჯთვალა არე

და ეარი.

მიდიან...



გაზაფხულს დარდობენ.  
იგრიკა,  
მირკანი,  
ვარდობის...“

პოეტის არა ერთ და ორი ლექსი განასახიერებს  
ასეთ ფერწერულ ტილოს:

\*

„ქარზე ამხედრებულ ღრუბელს –  
წინ მიუძღვის ელვა  
სარდლად  
და აცვია ჯვალო ძველი.  
ცას კი  
ცისარტყელამ ყელი.  
უცებ,  
უხმოდ გამოდადრა“.

ვაჟა ეგრისელის მიერ დახატული კოლხეთის პე-  
იზაჟები ძალიან ახლოსაა ფერწერასთან, რა მართე-  
ბულად მიუთითებს ბატონი კოტე მელაშვილი: „კით-  
ხულობ ლექსებს, პიანოს პიანისიმო ენაცვლება, იქ-  
მნება ინტიმური გარემოება, სადაც საყვარელი ადა-  
მიანი ხან ჩუმად, ხან ხმადაბლა გეფერება და გესა-  
უბრება, სულს გიფაქიზებს“.



პოეტს ახასიათებს შორს გამხედვარი მზერა და მის მიერ შენიშნული დეტალები მესხიერებაში სამუდამოდ იბეჭდება მის მიერ დახატულ ბუნების სურათებში ეროვნული სული გამოკრთის. პოეტს გამუდმებით ეძახის კოლხეთის ბუნება სავსე იმედებითა და შესვენდრებით:

\*

„გაზაფხულზე ქართლის ქედებს –  
მაღალ მხრებზე გადმოღვრილი  
ჩანჩქერების –  
შვენის თმები.

შორს –

ვეფხვების ნახტომივით,  
თეთრ ზოლებსა ჩანან მთები“.

პოეტი უზუსტეს სიტყვებს და უტყუარ ხედვას იშველიებს. უსულო საგნები თითქოს ცოცხლდებიან მის სტრიქონებში. სახეები გვაოცებს სიახლითა და მოულოდნელობით, უნებურად ვოლტერი გამახსენდა: „მე ვმეორდები მანამდე, სანამ არ გამოსწორდებიან“. რაც შეეხება ვაჟა ეგრისელს, იგი მეორდება, რათა გამოასწოროს საკუთარი თავი, უფრო ძლიერად და პოეტურად თქვას ის, რასაც არსებითად თვლის და მაინც ყოველთვის რეალობიდან გამოვიდეს. რეალობა ერთადერთია, რაც წარმართავს ჩვენს არსებას:





\*

„სველი აქვთ კაბების ფოჩები, –  
ღრუბლების –  
პატარა ქალწულებს.  
ახლასან მშობიარობისგან მორჩენილთ.  
ვარსკვლავები კი,  
კვლავ მხრების აწურვით,  
უკრავენ ნათელს –  
ხელთაქვთ მთვარის ვილონჩელი“.

ამ ლექსში პოეტი, როგორც ყოველმხრივ სრულყოფილი სარკე, ყოფიერების მთელ სიღრმეს აღბეჭდავს. ვაჟა ვერისელის ჭეშმარიტი პოეზია მის ლირიკულ ლექსებში მთელი სიმძაფრით ჟღერს. ბუნების მარადიულ ფერთა მონაცვლეობა პოეტისათვის მუდამ საკვირველად წარმოჩნდება. მზე, მთვარე და ვარსკვლავები გასაოცარი თვითმყოფადობით კაშკაშებენ და მის პოეტურ კარმიდამოს თვალწარმტაც, ჯადოსნურ ელფერს აძლევენ, პოეტის მახვილი მზერა შორს სწვდება და აცისკროვნებული გრძნობას ვერ მალავს, როცა:

\*

„ტყეოთა სიმწვანე  
და მზის ძახილი,  
მთათა ცრემლი და



ნადვლიანი

მოთქმა მდინარის,  
ზამთრის თეთრ ტოტზე მიცოცავენ  
როგორც მღილები.  
და მცირე ბორცვზე სასაფლაოც  
თოვლქვეშ მძინარი,  
თოთრად გაღვლილ გულმკერდს შეიბნევს  
ია-იების ლურჯი ღილებით“.

ლექსში „ბაკურიანი“ პოეტი ნათელი გრძნობით აბრიალებული დგას ქათქათა თოვლში და სიყვარულის განუმეორებელ ძაღვს ასე გვიხატავს:

\*

„ვდგავარ გორაკზე სიყვარულის და,  
მე გეძახი...

თოვს...

და სითეთრე წვება ფენებად.

ქათქათა თოვლში

ჩაფლულია მთვარე-მარხილი.

მე კვლავ გეძახი... გიყიჟინებ

და მეჩვენება:

სადღაც შენს ახლოს იკარგება

ჩემი ძახილი“.



თოვლის სიწმინდე და სისპეტაკე, სითეთრე ფენებად გაწოლილი და ქათქათა თოვლში მარხილივით ჩაფლული მთვარე – ჩვენს მახსოვრობაში სამუდამოდ რჩება როგორც ჭკმმარიტი ადამიანური გრძნობისა და ბუნების დაწვევების უშესანიშნავესი სურათი.

ვაჟა ვერისელის კოლხურ პეიზაჟებში განსაკუთრებული პოეტური სახეებითაა დახატული საღამოსა და ღამის სურათები.

\*

„სიბნელის სკამზე შემდგარა ღამე,

ვითარცა გლეხის

შავტუხა ბიჭი.

ზეცას აჭედებს ვარსკვლავების

უანგიან ლურსმნებს...

მე კოლხურ ოდის აივანზე

ვწევარ და

ვუსმენ –

ჭრიჭინობლების ნადვლიან ჭრიჭინს“.

პოეტის შემოქმედებაში ტრადიციულია ღამის სურათის დახასიათება, მაგრამ განუმეორებელია პოეტური ხილვები, პოეტური სახეები: როცა „თმაგაბურძგვნილი შავი და ცივი ღამე მახსენებს კოლხეთის



წარსულს“. „მამლის ყივილით იზარება ღამის კედელი“:

\*

„...და კოლხურ ღამეს,  
ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს  
წინაპარს –  
ტანზე აცვია ვარსკვლავების  
ჯაჭვის პერანგი“.

საღამოს სურათი მკითხველში უცნაურ ასოციაციას აღძრავს, სული უფაქიზდება:

\*

„ზაფხულის ბაღში,  
კოლხურ საღამოს,  
იგალობებენ როცა შაშვები,  
როცა ოღებში  
იმედივით შუქი იალებს,  
მაშინ ვარსკვლავებს უნდათ აშვება  
და ისმის ციდან –  
უმძიმესი ჯაჭვის ზრიალი“...

პოეტმა კარგად იცის, რომ უჟმურ ჟამს ადევნებულმა მწარე მეგზურებმა: მოთქმამ და კივილმა, სისხლმა და ცრემლმა შვა შიშის ზარები და ზეცი-



კენ ხელაპყრობილი ღოცვა, თქმულებები და ლეგენ-  
დები, რომელმაც აქ, კოლხეთის ცის ქვეშ ჰპოვეს  
თავშესაფარი:

\*

„ხელაპყრობილი მზე და ღოცვები –  
შიშის ზარებით  
ჩამორეკეს  
ციდან ღმერთებმა.  
მერე თქმულებამ...  
და ათასმა ზღვამ  
და ლეგენდამ,  
გადაუარა რძისფრად, მძინარ  
ათასწლეულებს  
და აქ – კოლხეთის ცის ქვეშ შედედდა“.

რა გულწრფელია, რა სადა და ბუნებრივი გა-  
ზაფხულის ღამის სურათი:

\*

„თვლემდა ვარსკვლავთა მაყარი.  
და ღამემ მამლის  
ყვილზე,  
გახედა სუფრას ნამთვრალევს, –  
ღვინის მზით იყო ნაწვიმი...“



და მაინც ბოლოს,  
ცამ მთვარე,  
ჩამოატარა ყანწივით“.

ღამით შეიგრძნობს პოეტი გაზაფხულის ფერადი კაბის შრიალის, მნათობთა ცეცხლზე შუქით სავსე მთვარის ქვაბის დუღილს, მნათობების ცეცხლის ალით აპობს ღამის წყვილიადს და მთელი არსებით ისწრაფვის უცხო პორიზონტისაკენ. ამ მარადიული სილამაზით თავბრუდახვეულს მუდმივად ჩაესმის ვარსკვლავების რეკვა:

\*

„ცის სამრეკლოდან  
ვარსკვლავები რეკენ და  
რეკენ  
სინათლის ზარებს  
კიდით კიდე“...

ღამე პოეტის ფანტაზიის მუდმივი მეგზურია და ნათელი დღის მაუწყებელი, ღამის სურათი პოეტის შეგნებაში მუდამ საკვირველებად ცხადდება, რადგან განუმეორებელი სიმშვენიერე ახლავს თან.



\*

„ღამემ მნათობების მუგუზღებით,  
დიღამდე მზის ბუნარი  
გაახურა  
და იქვე დაღლილი მიწვა.  
მიწას კი,  
ჩვენს ტანჯულ მიწას,  
ნამუსის ქუდად ცა ახურავს“.

არაერთხელ მივანიშნეთ ვაჟა ეგვისელი, როგორც ლაკონური თხრობის ოსტატი, პატარა ლექსში დიდ სურათს ათავსებს, მაგრამ უფრო მეტს უტოვებს მკითხველს ამოსაცნობად.

პოეტის ლექსებში მთელი რიგი თქმულებები და ლეგენდები წამოჰყოფენ თავს და თანაც იმისკენ გვაქეზებენ, რომ მეხსიერებაში კიდევ სხვა რამ ვეძებოთ, გარდა ზღვებისა და მთებისა, რამაც რძისფრად გადაუარა ათასწლეულებს და ჩვენ ვერ შევნიშნეთ.

პოეტის სულიერ პორტრეტს დიდ შთაბეჭდილებას სძენს ღამის გილიოტინა. ამიტომაც თაობათა გასაგონად უკვდავების ზარს უხმობს:



\*

„მარმარილოდან –  
    შორეული ძახილი ისმის:  
სიბნელის გზაზე მიერეკება  
ამაქვეყნიურ სითბოს,  
    სინათლეს,  
ყოვლისმმუსერელი უამი –  
    მარეკი.  
და სანამ დროა,  
    ადით ღამის გილიოტინაზე  
და...  
    უკვდავების ზარი დარეკეთ“.

**ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





\*\*\*

ცა – ტაძარია,  
ვარსკვლავები შენი მრევლია,  
მზე ღმერთია და მუხლმოყრილმა  
უნდა ილოცო;  
ათასწლეულებს გადაეფსკვნები...  
რადგანაც მოდგმა ხარ  
ჰელიოსის,  
სამეუფეოდ შენ გაქვს ზესკნელი.

2004

\*\*\*

გულზე რომ აწევთ მთები –  
დარდებად,  
მოკვდავნი თითქოს ველარ ამჩნევენ,  
რადგან დედაა –  
მიწა,  
არა დედინაცვალი,  
და მიტომაა დღიდან გაჩენის,  
რომ გველოდება  
გულისფანცქალით.

1971





\*\*\*

ცისკენ აწვდილი ღელვის თითებით,  
ზვირთები სივრცეს  
ველარ ფარავენ,  
ქარიშხლებისგან ათასჯერ წაშლილთ,  
ამოისუნთქა –  
უცებ არავი\*  
ზღვამ და ნაპირზე ჩამოდო ფაშვი.

1968

---

\* არავი – სამხრეთის ქარი





\*\*\*

სობისწყალში დინამიტს აფეთქებენ,  
დილა,  
მზეს ბლავის,  
დღეა – მზიანი,  
ნაპირზე გდია უღვაშა დღაეი,  
თითქოს ჯუჯა ხე მოუთხრია  
ქარს ფესვიანად.

1956



**ძალა ისევ მოვიკრიბე**

ახლა, როცა ვხედავ შორით  
და ნათელთან ჯვარი ვიფსკვენ,  
ძალა ისევ მოვიკრიბე,  
და მივევები მადლა –  
ცისკენ,  
სხივმფინარე “ხიდს” და “კიბეს”.

1959



\* \* \*

ცოდვა-ბრალის ქარიშხალი  
და ცრემლები დანაგუბი –  
უდგათ თვალში სატიალე  
ბუმბერაზ მთებს –  
დამდგარ უბრად  
და ზღვებს, წლობით  
ნამტირაღევთ.

1959





**კიმიუში**

დღეები ბაყბაყ ლაგანებს –  
ტაროს ჩინჩხვებით  
რეცხავენ  
და საწნახელიც ჭრაჭუნობს,  
სოფლის გზაზე კი მერცხალი  
ო, როგორ მიკრიმანჭულობს.

1980



\* \* \*

მანანათი დაგვაპურა  
და წყურგილე გვასვა თასით,  
ზღვაში თესდა,  
ცაში მკიდა,  
წელი არის ორ-ათასი,  
რაც გადმოჩქეფს  
წყარო კლდიდან.

1960



\* \* \*

ქვიშით გამომწვარ ზღვის უდაბნოში,  
ქარები,

როგორც ფარაონები,

აგებენ ზვირთთა ლურჯ პირამიდებს

და უკვდავება ამით ინდომეს,

თითქოს ამაზე გაბრაზდაო

პოსეიდონი,

ისე უეცრად შეიცვალა

ზღვაზე ამინდი.

1966



\* \* \*

ქართულ მიწაზე იები,  
მარადუამს ლურჯად ჰყვოდნენ,  
მიტომაც გახდა ლურჯი ცა,  
და ხვენც,  
დღემდის მით მოვედით,  
რომ გვეავდა რკინის მკენეტელი  
ფარნავაზიც და ქუჯიცა.

1992



## ბალაკტიონი

“ბარათაშვილს აქ უყვარდა  
ობლად სიარული”...

გახედა სივრცეს –

ვარსკვლავები თვალებს ახელდნენ...

გაფრინდა ცისკენ –

შეეგება სინათლეს დილის,

და... როს დაეშვა დედამიწაზე,

ბარათაშვილის ესმა ძახილი

და... მოწყენილი

მთაწმინდისკენ აუყვა ბილიკს...

1959



\* \* \*

აგიყვანს გილიოტინაზე  
და შეგყრის ათას  
ფათერაკს,  
სიტყვა უწონო, უმი,  
ბრძენს უთქვამს; ვითარც ლაპარაკს,  
სწავლა უნდაო  
დუმილს.

1969



\* \* \*

პოეტა მეორე მოსვლაა –  
წვიმს ხმები...  
და უენი დისკანტი\*  
მიფრინავს მტრედივით  
და მიაქვს რტოსავით –  
სიმღერა –  
ნისკარტით.

1970

---

\* დისკანტი – (ლათ.) მაღალი ხმა



## ერთი პოეტის პორტრეტი

მას ერთხელ მზერა ცისკენ გაექცა  
და უკან აღარ დაბრუნებულა,  
რადგანაც უფლის ხატს შეეყინა,  
სასაფლაოზე მაღალ ლანდებს სანთლებს  
უნთებდა  
და ლოცულობდა,  
ლოცვა მაინც ვერ  
დაამთავრა,  
უსმელს და უჭმელს, ზაფხულ-ზამთარ  
ეძინა თურმე ნაგვის ყუთებთან.

1964





## შუამდინარეთი

წარსულისკენ მივყვები ტიგროსსა და  
ევფრატის  
მღვრიე ტალღებს და ფიქრებს –  
ადრე მკვიდრი ამ მიწის,  
ამ სოფლის და ამ დაბის,  
რომ არ ვიცნო,  
სახეზე უამთა ხელებს იფარებს –  
ჩემი კოლხი წინაპრის ნაგები  
ქალაქები:  
შურუფაქი, ადაბი,  
ნიფური და სიფარი.

1963



## ფრიგიას და გალატიას

მითი არა,  
სინამდვილე,  
ქართველმა რომ არ იცოდეს,  
ისტორიის დალატია,  
რომ კოლხური ხმა ისმოდა –  
ფრიგიას და  
გალატიას.

1968



\* \* \*

ზოგიერთი პოეტი კი,  
ისე მიდის საიქიოს,  
არ მგონია ერთი ღამეც,  
პოეზიის ღამაზ ცისქვეშ,  
შთაგონებით გაეთიოს!

2004



**ჩემი უძველესი კოლხეთი**

ლამაზი ოცნება ასრულდა –

ურარტუელებთა და

ასურთა:

ცეცხლს მისცეს დრო-ჟამის მოხელთვით

ქვეყანა დიან –

ნაირის –

ჩემი უძველესი კოლხეთი.

1970



## ლილე

თვალსაცერა შავ ღრუბლების –  
შიში კრთის და  
ელავს ელდა,  
და აღვიძებთ ადრე “ლილე” –  
ტანწერწეტა მწვერვალებს და  
დიდ მთებს –  
მუცელგაბერილებს.

1961





\* \* \*

შიში,

რა შიში,

არც მის ნასახი,

მე, ეგრისელი ეფიცავარ ეგრისს,

სანამ ის მოვა,

უნდა მივადგე –

სიკვდილის ცამდე აწვიდელ სასახლეს

და იქ –

სიცოცხლეს დაგუდგა ძეგლი.

2001



## ჰკითხეთ კიროს ფაზისელს

კოლხურ პრეისტორიას,

ვითარცა ძველ კოლხურ ცას,

წერტილი კვლავ აზის მზის;

კოლხები ვით აგებდნენ –

ქვეყნებს კიდიო-კიდემდე:

ჰკითხეთ კიროს ფაზისელს –

ეგვიპტის დიდ გამგებელს.

1968





\* \* \*

ბოლოს მეორე ათასწლეულის,  
არა ჩანს ქრისტე,  
როგორც დაგვირდა  
და მის მაგივრად მოდის იუდა,  
წვა და ქაოსი მეუფობს  
ირგვლივ,  
ცბიერი უამი გიმზერს ჯიუტად,  
რომელიც ეკლის  
დაგადგამს გვირგვინს.

2000



## ჰკითხეთ სტრაბონს

კოლხეთის დიდ ისტორიის –  
დგება უამი რიბი-რაბოდ,  
რომ ფრივიაც,  
კილიკიაც –  
ჭანს ეკავა... ჰკითხეთ სტრაბონს,  
ვისაც დედა ჰყავდა ჭანი,  
რომ “აია” კოლხეთიდან  
რბოდა მტერი შიშნაჭამი.

1967



\* \* \*

აქ, ცაში –

ბერად შემდგარი მთები,

წარმართ ქართველთა ლოცვებმა

ზარდეს,

ამას არ უნდა ხაზი და ღარი,

რომ ყრმებს სწირავდნენ

არმაზს და ზადენს,

ამის მოწმეა მცხეთა და მტკვარი.

1965



## ადრე კაბადოკიაში

ადრე კაბადოკიაში –  
კოლხები რომ ბინადრობდნენ,  
ძველია... და,  
არ ახალი,  
სინამდვილეს მეც ვიჯერებ,  
მოწმე არის:  
მთა ფარხალის,  
მთა ჭიჭაკის და ორთაყვის,  
ბოტოს მთა და  
მთა თიჯერის.

1964



\* \* \*

შორეული წარსულიდან,  
აქამდე გზას  
ძლივს რომ აგნებს,  
ისევ ვისმენ კოლხურ ჰანგებს:  
– აწ დრომ უნდა გდიოს,  
არგოსის დიდ მეფის ასულს –  
ჩვენს დიდ დედას –  
ოს.

1964



\* \* \*

ცის ჯვარზე ელვას,  
ვითარც იესოს,  
ღამე ფარავდა,  
ხსნიდა,  
აკრავდა,  
ვარსკვლავთა მრევლში მთვარე მოჩანდა  
ფერმილეული,  
ვითარც იუდა,  
მერე ზღვა უცვებ აიქოხრა და  
ქარიშხლის ხმაზე ანერვიულდა.

1969



**ევბეაზეც და კორინთოს**

ლაზ-პელაზგთა კოცონები  
ყველგან ენთო –  
ევბეაზეც და კორინთოს,  
და მაკრონთა წინაპრები –  
მაკრისები,  
ოქრო-ვერცხლით მდიდრებია,  
ბერძნებია?!  
არა,  
გამონაკლისები,  
სანებია და კოლხეთის მკვიდრებია.

1964



\* \* \*

უჩინმახინის ქუდი ასურავს,  
მოდის უგულო  
და უსახური,  
და მოლოდინის რკინის კარზე  
ისმის კაკუნი,  
აღბათ ისა დგას  
ცხრად მოკაკუელი –  
რომ სუელი მთხოვოს.

2004





## ოდისეოსი

არ ჩანს,

მაგრამ ათასეულ წლის იქიდან,

ახლა არა,

ოდით მესმის,

რომ გმირთ-გმირი ოდისევსი,

კოლხ-მედვას ბადიშს-ილოსს,

კაცს გრძნეულს და მკურნალს

ჭირთა,

ისრის წვერზე წასასმელად,

“თხოვს შხამს,

მუსვრელს მამაც გმირთა”.


1964



\* \* \*

მცხეთასთან მთები შემოჯარულან  
და სიმყუდროვეს თოვს  
თებერვალი,  
სადღაც ვარსკვლავი თვითმკვლელობით  
ზეცას მოწყდება,  
და გააჟრულებთ ცაში მწვერვალებს,  
გამთენიისას ღამეს სული,  
მზედ აღმოსდება.

1976



**ებრიოსს, ქიოსს და სქერიას**

პონტოელთ მაკრონთა ლაშქარში,  
ლაზებიც,  
სანებიც ერია,  
და თუ დაფუჯერებთ ქალკიდეს,  
მათ კოლხთა დროშები  
გაკიდეს –  
ებრიოსსს,  
ქიოსს და სქერიას\*.

1964

---

\* ეგეოსის ზღვის კუნძულები



\* \* \*

დასაბამიდან დღე და ღამე მტრობენ  
ერთმანეთს,  
წევდიადს ნათელთან არ სურს დარჩენა;  
დღის ნაკვალევის დასაფარავად,  
ღამე-გულხარბი  
და თუთარჩელა,  
აშლის ვარსკვლავთა ყვითელ ქარავანს.

1966



\* \* \*

ჩამავალი მზის ღავა იფრქვევა  
დასალიერში,  
როგორც ვეზუვი  
და ნისლში მოჩანს კავკასიონი –  
დედამიწის თუ სიკვდილის კუზი,  
დავალ კოლხეთში და მყავს  
მეგზურად –  
შორ-წარსულიდან გადმოსული პირეიდი –  
ეგრისის მსგავსი ჰელიკონის  
ჭაღების მუზა.

1992



## მეღვა

ვითომ შეიღვთა მკვლელი დედა,  
ოცდაათი საუკუნე  
უამთა სახრჩობელაზეა,  
რომ ფრიგიას და კორინთოს,  
რომსა და ანატოლიას,  
აღმოსავლეთს და დასავლეთს,  
უნდა ვამცნო მთელ აზიას,  
კოლხ მეღვას,  
შვილები რომ არ მოუკლავს,  
რომ ბერძენს არ გაჰყოლია,  
იაზონი –  
კოლხთა მოდგმის პელაზგია.

1963



\* \* \*

მაცხოვარის დგას ნათელი  
და ნაფლეთი მკრთალი  
ღრუბლის,  
კვლავ კიდია ცას კვართივით,  
და...

თბილისი რომ იხილონ,  
ჩამორბიან ბილიკები,  
მთები ცერზე შემართულან.

1961



## უფალი

“რომელმა შექმნა სამყარო...”  
რუსთაველი

მისით ბრუნავს სამყარო,  
რომ ის უცვლის  
მზეს იერს,  
და მეც უფლის მოშიშმა,  
ამდაგვარად დავასკვენ:  
რომ უფალი განაგებს –  
მიწიერს და ზეციერს,  
ასე სწამდა რუსთაველს,  
პასკალსა და  
დამასკელს.

1960



\* \* \*

ეპ!  
კოლხეთის დიდ წარსულში –  
წუხს ფაზისი,  
ცივი,  
ოცხე,  
მაგრამ ჩემი სამეგრელოს  
მტერს, ტანში რომ გააციოს,  
პონტო წამით გააცოცხლებს  
ძმებს –  
აიეტს და აქციუს.

1961



**სადღაც ხმა ისმის მაკრის-  
მაკრალთა**

შემოსილია ნისლით ცარგვალი  
და მზის სხივების  
ისარ-ნაკრავი,  
მიწის შავქვაბში შავზე შავი წყალი  
გვარგვალებს,  
სადღაც ხმა ისმის მაკრის – მაკრალთა  
და ვარსკვლავებში თვალებს ახელს  
კოლხი-მარგალი.

1966



\* \* \*

სფეროებს და გალაქტიკებს  
ფიქრს ვერ ვარიდებ,  
ო, რა ახლო ჩანს  
დიდი დათვი და ოტარიდი,  
სიშორის ტოტზე მნათობები  
ჰყვავის ულავი,  
მაგრამ იმედად,  
კვლავ მეგულება –  
მე ანდრომედა.

1988



## ურარტუს მეფისნაცვალი

შოთრეული წარსულიდან –  
მესმის ცივი საუბარი:  
არც პური გვაქვს, არც მარილი,  
ცეცხლში იწვის; სუბი, ბარი,  
არანა და არმანილი,  
უამური დგას ამინდი  
და გვეყრება თვალთ ნაცარი,  
ასირიის მეფე სარგონს –  
ებრძვის ირდი –  
ურარტუს მეფისნაცვალი.

1964



\* \* \*

ბუნებისა თუ უფლის ბრძანებით,  
არავინ უწყის –  
თუ რამდენი ჩაქრა მნათობი –  
ღიად დარჩენილ ცის ლურჯ თვალებში,  
თუმცა ისინი შორი თარეშით,  
მილიონი წლის მერეც გვათბობენ.

1983



\* \* \*

გაოცებული ვარსკვლავები  
მოგვშტერებია,  
რომლებმაც მთვარის და  
სიშორის თასი დაცალეს,  
მაგრამ მათ იქეთ,  
ღამეების უფრო იქედან,  
სინათლის წლებით განათებულ  
გალაქტიკიდან,  
სულ სხვა მნათობთა,  
იდუმალი მესმის ტკვარცალი.

1992



## პართიის და თრაქიის

ძველი მეისტორიე,

შიშითა და კანკალით,

სადღაც უხმოდ გაკივის:

– აქ უხმობდნენ “მოსხს” – სახელს

და პირველი მოსახლე –

პართიის და თრაქიის

იყო მოსხი, მაკრალი.

1988



\* \* \*

ოქროს ფრთებიან ვარსკვლავებით  
გულგანგმირული  
მე ცა ვარ,  
და არა მიწის ნაწილი,  
ნოსხად მიგია მთვარის ფერდობი  
და ფრთებგაშლილი,  
ვითა არწივი,  
ისევ სივრცეს და ცას მივენდობი.

2001





**კიდონელთ და დორიელებს**

კნოსი,

კრეტა, თესალია,

ევბია და ეგრიბოსი,

მაინც აღარ მიატოვეს,

თუმც ელინი შხამავდათ,

ვით მორიელი,

პელაზგ “ბარბაროსთა” ტომებს;

კიდონელთ და დორიელებს.

1968



## ზღვას მიწიდან უნდა გაქცევა

ფაფარაშლილი ქარიშხლების ფლოქვთა  
თქარუნით,  
უკან ბრუნდება ამაყ ზვირთთა  
ურდო ველური,  
ღამით დამფრთხალი და მხარნაქცევი,  
ზღვა ბოლთას სცემს და  
აღარ იძინებს,  
მიწიდან სადღაც უნდა გაქცევა.

1981



\* \* \*

დედა კი არა...  
ეს მიწა,  
ბნელში მწოლიარე დეგია,  
მოკვდავთა სუნი სცემს...  
და შია,  
მწუხრისას ცა ანთებს ნათურებს,  
სიცოცხლე –  
პატარა ბავშვია,  
სიკვდილთან თამაშით გართული.

1993



\* \* \*

დელვის ბუდეში მსხდარი,  
ურჩხულებია –  
ზღვები,  
მათი სუნთქვაა ქარი,  
მდინარეები მთების –  
თეთრი კუდები არი.

1956



✽

\* \* \*

მოსულთ შორეულ სიმყუდროვიდან,  
არყოფნის ქარებს  
გააქვთ გრიალი,  
მიწას თუ ყოფნას ჩაფრენია  
ხეთა ფესვები,  
სიხარულისფრად ბაღში იაღებს –  
კვირტების მწვანე წამოკვნესება.

1959



## მიწისებრა მთაში

წარსულიდან რომ გადმოჰქუხს –  
სიხარულის არაგვია,  
სიყვარული აფრინდა და  
მზედ დაიწვა,  
მიწა იძრა?

-არა, გეა,  
აკვანს ურწევს დედამიწას!

1962



\* \* \*

მთვართ შელოცვილ გველეშაპს სძინავს,  
თვალებზე ხელებს იფარებს ღამე,  
და უსაწმისოდ დარჩენილი ჭყონდიდი  
კენესის,  
ისმის ფაზისის ტაღღების მესა,  
ტანში აურუოლებს ტყეებს  
და ფშანებს.


1974



## აპიანე კომპეუსი

რომაულ შუბს აპრიალებს –  
მტერთან მარად შეურიგალს,  
და მითრიდატ ევპატორის  
გემებს –  
მთვარის აფრიანებს,  
პონტოს ზღვაში ატანს გრიგალს,  
მეხთმტყორცნელი  
აპიანე.

1961





\* \* \*

მწუხრში მჯდარი დედამიწა,  
ისმენს ვარსკვლავების სიცილს,  
მზე წყვდიადში ნათელს კვერავს  
და რიჟრჟაჟი ქერქიან ღამეს იცვლის,  
ისე,  
როგორც გველი პერანგს.

1999



\* \* \*

აწ მეოთხედი საუკუნეა,  
გადავიწყების მივალ კუნძულზე,  
სად სილამაზე ჩანს დიდებული,  
მაგრამ არ მიშვებს შორეული  
უამთა ეშვები,  
ჩემი კოლხეთის დიდ წარსულს ვარ  
ჩაჭიდებული  
და სანამ ვცოცხლობ, არ  
მოვეშვები.

1968





\* \* \*

დედამიწა კი სიბნელეში წევს  
უწყინარი,  
როგორც ნათელზე ჩუმი ოცნება,  
რომელიც ღურჯ ფრთებს ასაფრენად  
იქნევს და იქნევს,  
და ვარსკვლავები ცად რომ ბრწყინავენ,  
ცოდვილ მოკვდავთა არის ღოცვები,  
მზე-  
უფალია,  
მიტომ გვიტობს რწმენას და ფიქრებს.

2002



**ხალიბებს და ტიბარელებს**

ქსენოფოსტეს არმიებმა –

ცა და მიწა ააოხრეს

და გერყანში იბარებენ –

პონტოს პირას მცხოვრებ

კოლხებს,

ხალიბებს და ტიბარელებს.

1962



\* \* \*

ქათქათებს ზეცა –  
ტადარი უფლის,  
დღისა და ღამის ჭრიალებს კარი,  
კანკალებს ელვა –  
ღვთის შინებია,  
ადამი-მზეა,  
და ევა – მოვარე,  
ვარსკვლავები – მათი შვილებია.

1963





## ძველი ქართლი

აჰა,

ჩემი ძველი ქართლი,  
ერთდროს მხარე საოცარი,  
ჩემი ოშკი,  
ჩემი ხანძთა,  
შატბერდი და ტაოსკარი,  
მშობლიური ჩვენი კერა,  
აქ არც ხე დგას,  
და არც ტინი,  
რომ არ აყოლებდეს მზერას,  
ქართველისაკენ მიმავალ მტკვარს,  
ვით ოლთისი და  
ართვინი.

1981



\* \* \*

შორ წარსულში ჩამავალი,  
კოლხური მზე  
რომ აღდგება,  
ვხედავ: იაღქნიან ნაგებს  
და საბრძოლო ხომალდებსაც –  
პონტოს ზღვაში მონანაგეს.

1969



\* \* \*

ომების ცეცხლით გარუჯული  
საუკუნენი,  
შორიდან უფრო გველამაზება,  
მთვარის ფიალით –  
თუნდ წარსულის  
მღვრიე ღვინო სვი,  
რომ შორეული წინაპარი  
მეგრელ-ლაზების,  
პელაზგი გახლავთ ორფეოსი და თვით  
მინოსიც.

1967



## ლიჭენა და ლიკუტალე

ვაზისისკენ მიიჩქარის,

წარსულში კვლავ მილიკლიკებს

და არესის მისდევს ჭალებს:

არაქსუ და ლურჯი ლიკე,

ლიჭენა და ლიკუტალე.

1971



## მეძახის მზის სასწაული

უძილო მნათთა ეზო-კარს,  
ღამით ათასჯერ დავუვლი,  
ისე,  
ვით მოვარე უელის ცას,  
მეძახის მზის სასწაული,  
ვით ბაზმა სიყვარულისა.

1964




\* \* \*

გ.გ.-ს

მედეას მოდგმა ხარ,  
სათნო და კეთილი,  
უსიყვარულოდ სიცოცხლის მგმობელი,  
თბილისში გგულები,  
მოფრინავ ოცნებით  
და უკან მოგძახის შენ ოქროს  
ვერძები,  
მიყვარხარ!

პოეტის გული აქ მოგელის  
და რუსთაველზე თვალები გეძებენ.

1999



\* \* \*

ჩვენ ვსხედვართ ზღვის პირად,  
ნაპირთან ტალღები,  
ჩამოივლიან ქარების კაბების  
შრიალით, ვით კოლხი ცირები,  
და ბრუციანი მიმწუსრის  
ვარსკვლავი,  
მათ არ უყურებს და სადღაც  
იცქირება.

1959



## ასირიის მეფე სარგონ მეორე

გუსმენ: “ლაჯვრის ფირფიტადან”,  
ასირიის მეფე სარგონს,  
სურს აღდინი რომ ააღდეს,  
და მძვინვარებს... და ბობოქრობს...  
და ტადრიდან წმინდა ხაღდეს  
ეზიდება ვერცხლს და ოქროს.

1973



\* \* \*

კვლავ წაეკიდნენ ერთურთს ღმერთები,  
ისმის გრგვინვა და ჭექა-ქუხილი,  
შავი ღრუბლები დასალიერთან –  
განრისხებული დგანან კლდესავით  
და ელვის შუბით გაგლეჯილ ცას  
თავს აფარებენ,  
მთები, ვითარც ხმლებს, მდინარეებს  
ქვებზე  
ლესავენ  
და ხელთუპყრიათ ფერდობები,  
როგორც ფარები.

1988





\* \* \*

ათასეული წლების მღვიმედან –  
ჰეკატეს ბაღით გამონაშუქი,  
ელავს კოლხური ღამე –  
მერეთი,  
ელაციცება რიონს-ძირულა,  
ულამაზესი ცა –  
იმერეთის,  
ოქროს ვარსკვლავებში ჩაძირულა.

1988




\* \* \*

აღმოსავლით მიმავალი  
მზე,  
წყვილადში რომ გაეზას,  
ღამეს მოვარე დაუგია,  
ვით გულებო და აშრილა\*;  
შენ ფიქრს მისდევ აუგიანს,  
ცა- ვარსკვლავებს  
აშრილებს.

1972

---

\* აშრილა - მახე



\* \* \*

შურის ციკნები დაკიკინებენ,  
წინ სიძულვილის  
მიუძღვის ვერძი  
და ირგვლივ ყრია ბოდმის ნაკელი,  
მტრობის და ღვარძლის ცხრათავიან  
გველეშაპს ვებრძვი,  
მაგრამ რაღა ვქნა,  
ვერაფერი ვერ დავაკელი.

2004



\* \* \*

ვითარც, წინათ ხუთიათასწლეულის,  
კოლხური ცის სახეს მწუხრი,  
ჭორფლივით  
აყრის მნათობებს, ვითა აყრიდა,  
და ყოველ დილით და საღამოთი,  
ღრუბლების კლდიდან გადმომდგარი  
მოვარის საყდრიდან –  
ლოცვით დაღლილი შუქი გამოდის.

1974






## დავითშერულის მონოლოგი

მტერს თვალი ბევრჯერ დავუელამე,  
მომხდურთა ტყეებს  
მივკაფავდი და ვიმარჯვებდი,  
ახლა უანგი მჭამს...  
ისე ვკვდები, ისე დავბერდი,  
რომ თან მიმყვება დარდი კლარჯეთის,  
ხანძთის და ბანას,  
ტბეთის,  
შატბერდის.

1979



\* \* \*

ბევრს ეცადნენ...

ფიქრუწველნი ისტორია,

კოლხეთს მაინც

ვერ წაართვეს,

და რაც გადავცილდი სამოცს,

ჩემს წინაპარ კოლხ – წარმართებს –

ქრისტიანულს ვაცმევე სამოსს.

2001







## პითაღოროსი

ეზი ზღვისკარად და მიგაღობს  
ზვირთთა ქორო,  
ეს არც მითი და არც ძველი ქილიკია,  
რომ ვიღაცა დედაკაცი –  
პითაღოროს –  
მეფობს კოლხეთს,  
ტრაპიზუნტს და  
ფინიკიას.

1964



**დღე და ღამე, როგორც წაწლები**

სიკვდილის შიშით დღეები კი ისე  
მიჰქრიან,  
უკან მოხედვას  
ვეღარ ასწრებენ,  
მზე კი მზეა და საწყალ მიმწუხრს  
მაინც ჩაუვლის,  
გვერდი-გვერდ წვანან დღე და ღამე,  
როგორც წაწლები  
და შუა უდევთ მთვარის ცივი  
ბაწარაული.

1960



\* \* \*

ჩვენ –

მოკვდავთა სატანჯველად,  
ცხოვრების ხე არ გვეოფნიდა?!  
რომ “ის” ისევ გვისისინებს  
ცნობადის ხის –  
ნაყოფიდან.

1998



\* \* \*

შუადამისას,

მწყემსის ძაღლივით,

ცა როცა ქუხილს წაიღავდავებს;

ღრუბლის შავ ნაჭერს,

მთვარე შუბლზე წაიკრავს მყისვე,

და რომ ჩახედოს თვალებში ღამეს,

ტიტველი ელვა იგრძელებს

კისერს.

1969



\* \* \*

მტკვარს დაშრეტია თვალში სინათლე,  
მიტომაა, რომ მწარედ ოხრავს ის,  
თუმც ხმა მცხეთასთან ესმის  
ხეთების,  
ხოლო თბილისში წელში მოხრილი  
გზას ვერ იკვლევს  
და წარსულად მდგარ  
კლდეს ეხეთქება.

1972



\* \* \*

ცას,

ვით ქალწულს პირმშენიერს,  
ოქროთი აქვს საესე უბე  
და სღევს ეღვის ნიამორებს,  
ღამეს მთვარის ყალიონი უჭირავს და  
ღრუბელ-ღრუბელ,  
დასავლეთით,  
შავი ზღვისკენ მიაბოღებს...

1996



\* \* \*

გამთენიისას,  
ცოვ სიხუმეში,  
როდესაც ჩუმად ვჩურჩულებ  
ღმერთთან,  
მაღალი მთები იწყებენ ღრეკას,  
და... ონკანიდან წყალი რომ  
წვეთავს,  
დაღალულ გულზე მესობა ეკლად.

1960



## ციდან დავმზერ დედამიწას

ჩემს დაკარგვას ალბათ დარდობს,  
შავი ზღვა და შავებს იცვამს,  
მე კი, მეტი რა ვინატრო;  
ჩემი ბედი მზედ დაირწა,  
მოვარესავით ცად  
ვბინადრობ,  
ციდან დავმზერ დედამიწას.

2000





## როგორც ბატკანი

ასეა მუდამ,  
ღამეები,  
                  მომავალ დღეებს,  
მზის უზარმაზარ გვირგვინს ადგამენ,  
ახლა არც ქარი,  
                  და არც წვიმაა,  
და მაინც მთვარე, როგორც ბატკანი,  
მიჰყავთ ვარსკვლავებს,  
განთიადის შესაწირავად.

2000



\* \* \*

უამს მიმწუხრისას გაიღვიძებენ  
და წინაპრები ვარსკვლავების  
თვალებს ახევენ,  
სხივებად მოდის მათი აღერსი,  
მე კი ვერაფრით დავუბლაგვე  
პირი მახვილის –  
ამ წუთისოფელს –  
შხამით აღესიღს.

1998



\* \* \*

ბოლოს მეორე ათასწლეულის,  
გამოცხადებას უფლის  
მე ველი,  
ვუსმენ საწუთროს, ვით ჩანგს  
ერთხმოვანს,  
და ისე, როგორც გალილეელი,  
გზად გვერდს ვერ ვუვლი  
პოეზიით სწეულ კეთროვანს.

2001



## ალბატროსები

ცივად დაჰყურებს ღელვას გემბანი,  
აღარც ლოცმანი,  
არც მატროსები,  
ქართო მოტანილს, ვითარც დიდებას –  
ვეება ზვირთებს ალბატროსები,  
ნაპირებისკენ მიეზიდება.

1967



**ბრწყინავს ღამის ტაძარი**

ცას –

თავფარავნელ მზეთა მზეს,  
შეესნა ნისლის პერანგი,  
შეკრული ვარსკვლავთა ღილით,  
უჩანდა მთოვარის ძუძუ –

სითეთრით-გასაკვირით,

ბრწყინავდა ღამის ტაძარი,

ნაგები შეყვარებულთა –

ფიქრების ქვით და კირით.

1982



## ზღვის ბაღმა

არა და არა,

ქარს და ქარიშხალს,

არ დავენებდები ცოცხალი თავით,

შორით რომ მოჩანს ია და ვარდი,

უნდა იხაროს იქ ჩემმა ბაღმა,

ჩამავალი მზე სივრცეებს ნაღმავს,

პირველყოფილი ამ ჩემი ნავით,

უნდა გავიდუ, ცაო,

ზღვის გაღმა.

1998



## სამღერეთი

მღერის სამი და...

წკრიალა ხმა ისმის ფანდურის...

მომხდურთ ღაშქარი შედგა

და ქართლს მოავლო თვალი,

უცებ:

– ჰკა მაგათ!

ხმა გაისმა...

არ გაუფანტულა

ჯერაც, იქ მაშინ დანთებული

ბრძოლების კვამლი.

1977



## ოსკ

მოყვავილე ღამის ბორცვზე,  
ისევ მოჩანს მთვარის ნიში  
და არაგვი ისევ “მორბის”...  
ქართველს ისევ მოსდგამს ჯიშად –  
ნიშანწყალი მზის  
და ორბის.

1961





**შენ მამათ-მამის შურდულო**

ზესკნელის გადამკეტავო –  
ცისარტყელების ურდულით,  
ცათა და ხმელთა მომცველო!  
შენ, – მამათ-მამის შურდულო,  
– მთაო, ღოდ გამომტყორცნელო!

1960



## ვითარც სიზიფუს

მნათობთა ყევით და გნიასით,  
სინათლე,  
სიბნელეს მისდევს ვით მწვევარი,  
ამაქვეყნიდან მზის იქეთ,  
დამეს კი მზის ლოდი  
ააქვს დღის მწვერვალზე,  
ვითარცა სიზიფუს.

1962



\* \* \*

სადაც მოისმის ყეფა ძაღლების,  
სიკვდილმა რაში წივილ-კივილით,  
სოფელში უნდა შემოაგეღოს,  
მრავალჭირნახულს,  
ო, როგორ მზაფრავს,  
როცა ჩაუუვლი პატარა საფლავს  
და სურათიდან მღიმარ ანგელოზს.

1987



\* \* \*

ჩვენ რომ გვეგონა მარადიული  
საწუთრო,  
ჰოი, როგორ მიიცურცლება,  
რასაც ვეძებდით, დღემდის მაინც  
ვერ მიგვიგნია,  
გაშალეთ ჩემო,  
დაგრაგნილი ზვირთთა ფურცლები,  
ზღვები-ბუნების,  
ლოცვით სავსე დიდი წიგნია.

1995



\* \* \*

ამ წუთისოფლის სივერაგზე,  
ბევრჯერ გავბრაზდი  
და გაგულისდი,  
რომ არ ვეშობე ბუნებას მგოსნად,  
სულ არაფერი,  
ამქვეყნად მოსვლა,  
ღირდა შენი სიყვარულისთვის.

1984



\* \* \*

ჩემი სპეტაკი სიყვარული  
ა, ის თოვლია,  
რომ შეჰფენია კავკასიონს,  
ოჰაიოს და ინდიანას  
და რომ უდგას დარი მზიანი,  
ვით კარლ სენდ ბერგის  
გულწითელას და მეუოლიას,  
რომელთაც ჩუმაღ მიჩიგანში  
გაჰყავთ ზამთარი.

1961



\* \* \*

ცის აივანზე მსხდარი მთიების  
ისმის ოქროსფერი სიცილი,  
რომ ელვა შავ ღრუბლებს  
ფერავს,  
საწყალი მთვარე კი ნარცისივით,  
მდინარეს კვლავ ჩასცქერის შტერად.

2001



\* \* \*

ჩემს საფლავს უნდა გადავაბიჯო,  
გზას გაუდგები შიშველ-ტიტველი,  
სულ მარტოდ-მარტო,  
ლექსის ამარა,  
მე კარგად ვიცი,  
ქვეყნად რა მიჯობს –  
ჩემს საფლავს უნდა გადავაბიჯო,  
უნდა დავტოვო ღიად სამარე.

2004





\* \* \*

მზე ჩავიდა და მთვარე –  
ფერმკრთალი,  
მზის შესახვედრად ჩუმად ირთვება,  
თავს იწონებენ უცხო ფერები,  
მე კი იმედის ღამპარს მინთებენ –  
ოცნების ლურჯი პრერირეები,  
მარადისობის გზების ძებნაში,  
უნდა ლესავდე –  
აზრის ჯევარდენს,  
ასე ღაღადებს კარაბადენი:  
ბევრი წასულა იქეთ,  
შენამდე,  
ვინ იცის, კიდევ წავა რამდენი...

1960



\* \* \*

აწ “ქალაქელს”,  
ჩემი სოფლის მიმაქვს ვარდი,  
ვით ბავშვობის სახსოვარი,  
და შუკასთან ეკალ-ბარდმა,  
მტაცა ხელი,  
თითქოს მითხრა: გახსოვარო?!

1959



\* \* \*

მორჩა!

დღეები ლამაზ ზღაპრებით,

ვით ადრე,

ახლა ვეღარ მართობენ,

და ვადრი გვიან მოსულ დიდებას:

სიშორის ტოტზე –

დუმილს მნათობთა,

ქარიშხალის წინ ზღვის გარინდებას.

1999



## ეკლუბი და ხიწვები

(ზოგ-ზოგებს)

რადგან გულზე გესობით,  
და წამით არ გასვენებთ, –  
ეკლუბო და ხიწვებო,  
რა ვქნა, ამა სოფლიდან,  
იქით –  
მარადიულში,  
უნდა გარდავიხვეწო.

2003





\* \* \*

შიგ კაკაღულში მხედება ისარი,  
მაგრამ რუბიკონს გადასული,  
ვით კეისარი,  
შურის და მტრობის ვხედები  
ქარიშხლებს,  
ორიათასერთის ბჭესთან მისული,  
კვლავ სიყვარულის ზარებს ვარისხებ:  
მტკვრით და რიონით,  
მისისიპით,  
განგით,  
მისურით!

2000



## ორი გიგანტი

შუაღამისას აღმოსავლეთით,  
ქუხილმა უცებ სამყარო  
შეძრა  
და შიშისგან ვარსკვლავები  
რომ გაიფანტნენ,  
ეს ალბათ,  
ისევ ერთმანეთს ებრძვის  
და ცას ვერ იყოფს  
მზე და მთვარე –  
ორი გიგანტი.

1960



\* \* \*

მთიები,  
ვითარც სული მგოსნების,  
იმზირებიან ციდან ხალისით,  
დარდი არ უჩანთ თვალში იოტი,  
და ციდან მოდის ხმა –  
ნოვალისის:  
“პოეზიას-რეალობა აბსოლუტური,”  
“ოთხ კვარტეტამდე” –  
შორი გზაა,  
წუხს ელიოტი.

1962





## ანგელოზების გალობა მესმის

თვალმოციმციმე ცა –  
განთიადის,  
როცა საავდრო შავ ღრუბლებს  
აშლის,  
ეს იმას ნიშნავს –  
განრისხდა ზევსი,  
ჩემი არყოფნის მწუხარე ხმაში,  
ანგელოზების გალობა მესმის.

1971



\* \* \*

იელვა და უცებ ციდან –  
ხმა მესმა საცნაური:  
-ის მთაა და მე ლოდი,  
მამავ ღვთისავ! –  
აღბათ დიდხანს მელოდი.

1964



## ჰონტოს ტყემალი

თბილი წვიმებით ხეხეს ქარებმა  
და სოფლის გზაზე  
დაყრილ გუბეებს,  
კვლავ მიაყოლეს ყინვის ემალი,  
როს თებერვალი ნახა ჩავლილი,  
გახარებულმა ციცქნა ტყემალმა,  
წამოიმღერა ერთი ყვავილი.

1957



\* \* \*

ათასწლეულთა მდინარეები –  
შიგ იქცევიან და ბობოქრობს  
ცის ოკეანე  
(და მოკვდავების ღოცვით გაცრეცილ –  
ნისლში ისევ ჩანს უფლის ხატება),  
წამი რა არის,  
არ ემატება  
და არც აკლდება ერთი ნამცეცი.

1984



\* \* \*

სიმყუდროვეში დაუდევს ბინა  
და წუთისოფლის –  
წამებს და წუთებს –  
მარადისობის გორგალზე ართავს,  
და სხვა სიმშვიდით დაგვცქერის  
ის ერთი,  
კაკეასიონი ზაფხულ და ზამთარ –  
ბღავის და ბღავის თოვლს  
და სითეთრეს.

1989



**შაჰ-აბასი ელანდება**

წარსულში კი ისევ ისე,  
წუხს საადი...  
თუმც შირაზის,  
კვლავ ყვავილობს იქ ვარდები,  
შაჰ-აბაზი ელანდება  
და კახეთში ტირის ვაზი.

1984



## მებრული ოლა

მიტოვებული,

ვითარც ბოხოლა,

თვალცრემლიანი და მიამიტი

იღვა ოლა და...

სიხუმეში უკრავდა წვიმა,

ოქროსფერ კლავიშებზე –

კრამიტის.

1956



## მიდის უფალი

უცებ მიწყდება ვარსკვლავთა მესა,  
მეხი საავდრო ღრუბლებს  
წამოშლის,  
ლოცვის ტაძარში: ისმის ლუკა  
და ისმის მათე,  
მიდის უფალი ღამითა და  
ცის უდაბნოში –  
ელვის პატარა ნაკვერჩხალით  
გზას ისინათლებს.

1961





\* \* \*

თოლიებით დათოვლილი –  
ნისლში მდგარი ხომალდები,  
თითქოს არქიპელაგია,  
ნაპირი კი გულში იკრავს  
ზღვას –  
ქაფის თეთრ პერანგიანს.

1964



\* \* \*

ცა –

უფალია და დასტირის

მიწის სიშორეს,

თვალზე ჰკიდია ვარსკვლავების

ცრემლის კურცხლები,

აქ კი დღეები თეთრი თებერვლის, –

სუსხიან ქარის სულის

შებერვით,

ისევ იშლება მოქათათე

ზამთრის ფურცლებად.

1989



\* \* \*

ფეხზე აცვიათ ხამლი სიშორის,  
თავშესაფარი არა აქვთ კარავი,  
წვიმაა,  
თოვლი თუ ქარია,  
იმ ერთის გარდა იცის არავინ,  
რომ კისრისტეხით გზები  
თუ სად მიიჩქარიან.

1981



## ინტიმი

აყვავებული ატმის ტოტებით,  
გარეთ ისევ დგას ცა –  
ნამარტალი,  
აქ კი ვნებები, როგორც ვეშაპი,  
პირს აღებს...  
ორი ფეხი სხმარტალებს  
და გაკრულია ტანი ქვეშაგებს.

1960



## ამოდის, ნათღება

ბრძოლებით განვლო ქარიშხლიანი –  
ათასწლეულთა გზები უვალი  
და მის შარაზე, უცაბედად  
როცა შებინდდა,  
მაშინ ჩემს კოლხეთს ისტორია  
გადაუმაღეს,  
მაგრამ “ამოდის” ის –  
“კოლხური ფსალმუნებიდან”.

1964



## ჩემი არღინი და მანა

ისტორიის უღრანებში –  
მთარეშე მიდიელებს,  
არ მიუძღვით ბრალი  
განა?  
რომ ჩაიღურს გააცოლეს –  
ჩემი არღინი და მანა.\*

1971

---

\* ძველკოლხური ქალაქები.



## ორი მარგალიტი

თბილისის მთის კორტოხეში,  
ვითარც ორი მარგალიტი,  
ნიადაგ რომ კრთის  
და ელაგს...

ის – კუს ტბაა,  
ეგ – ლისია,  
დასაველეთით ზღვა რომ ელაგს,  
ისიც ძველი ეგრისია.

1974



## მერმეროსი და ფერეტი

ოქროს აფრიანი ნავით,  
რომ მიჰყვებიან  
აღმოსავლეთით  
ფაზისის ნაპირებს ჭინჭრებიანს  
და სისარული თვალეში რომ ვერ  
ეტევათ,  
– ნეტავ ის ყმაწვილები ვინ არიან?!  
– მერმეროსი და ფერეტი,  
მედვას პელაზგი ბიჭებია.

1992





## ჩემი ბავშვობა

ოთხი წლის ვარ,

ხუთი წელი გრგვინავს ომი...

აწ ჭარმაგი,

შორით ვუმზერ ჩემს ბავშვობას:

ძაღლი, ჩუმად ტაცებს ლუკმას,


ხობის წყალზე –

ზღვისკენ მცურავ ნავს მიჰკივის...

ხან მიჰყვება ოფას შუკას,

სტვენითა და ასკინკლით.

2000



## კოლხაც, კილხაც კოლხეთია

აიეტის შთამომავალთ,  
არ ჩვეოდათ ქედის მოხრა,  
მიტომ ბევრიც მოხვედრია!  
ასურნი რომ ხმობდნენ – “კოლხად”,  
ურარტუელები “კილხად!”  
ორივ ჩემი კოლხეთია.

1970



\* \* \*

მზეს მიელტვი ისევ, ისე,  
პოეტებში ერთადერთობ,  
უამი უნდა მოიხელთო  
და მომავალ სიკვდილს –  
გზაზე შეეფეთო,  
რომ დაფრთხეს და უკან აღარ  
მოიხედოს.

1994



## მაჩაბელი

რიბი-რაბთა ცხოვრება

მაჩაბელის:

– არც ტყვია,

– არც წყალი,

– არც საბელი.

1988



## კოლხეთის დიდ ისტორიას

ჩემი დიდი წინაპრების –  
საქმეები საგმირონი,  
ბობოქარი ზღვისტოლია,  
იქ-ელვაა წარსულ დღეთა,  
და ქუხილი,  
კოლხეთის დიდ ისტორიას –  
ვიღაც აზის აქ კრუხივით.

1960



\* \* \*

უხილავი მხეცის შიშით,  
დღეებს ზამთარ-ზაფხულ  
სცივათ  
და სიცოცხლე აბოდებთ,  
ცხოვრების ხეს ისევ სცივია  
აქ –  
არყოფნის ნაფოტი.

1963



## ზღვაოსანი წინაპრები

მათი ხმაა –

ხსოვნის ნავს რომ,  
ჟამთა ზღვაში მიაქროლებს  
აფრებივით,

ზღვაოსანი წინაპრები:

ძაკა, ძოკო, ძიძიგორე,  
კოლხურ სულს ვარ ჩაფრენილი  
ისე, როგორც წიწილს –

ქორი.

1964



\* \* \*

ვარსკვლავებით მოქსოვილი –  
ღამეს –  
სიმყუდროვე ეცვა,  
შეეჭმუნა მთვარეს შუბლი,  
მიწას განეგმირა ზეცა,  
მყინვარწვერის –  
თეთრი შუბით.

1965





## არმაზთან

ათასი არა,

ათასხუთასი,

წლის მერე ვდგავარ მაღალ  
არმაზთან,

რომელსაც მტკვარი უფენია, ვით  
ფიანდაზი,

წამით წარსულის იღება კარი,  
და კერპით ხელში ვხედავ: ფარნავაზს,  
საურმაგს,

მირვანს,

არსაკს და არიკს.

1980



## არ ჩანს ყარაჩოღელი

სსოვნას მიჰფარებია –  
სახე ძველი თბილისის,  
აღარც როიალის ხმა  
და არც კუნესა გიტარის,  
არსაიდან ყაყანი ტავერნის  
და ტრაქტირის,  
არ ჩანს ყარაჩოღელი და არც მიკიტანი,  
მიტომაა არღანი –  
მეტეხთან მტკვარს დასტირის.

1967



## მეხუთე საუკუნე

არმაზის თავზე მსხდარი კერპების  
და ურჯულოთა წყევლა და  
კრულვა,  
ქართველთა სულში მაინც ვერ ატანს,  
ქრისტეს რჯულსაც ვერ ადებენ  
ბორკილს,  
და... ახალ მცხეთას აშენებს ბრატმან,  
განაგრძობს მირვან,  
ამთავრებს როკი.

1964



## კოლხური ცა

“შეხედე რა ცაა,  
ესაა რაცაა”.  
გალაკტიონი.

ოქროს ზღვიდან ამოსული,  
ვით ფერია,  
ცისარტყელა –  
ოქროს ქვიშით ნაფენია,  
ოქროს წვიმის ყაისნალით  
მოქსოვილი,  
კოლხური ცა სხვაფერია.

1959



## სიკვდილის შიში

ყოფნის იქიდან მოსულებს,  
მზით მთვრალებსა და  
გალეშილთ,  
ცაში გვიხმობს მთვარის ნიში,  
და...

ყველა მოკვდავს თვალებში,  
გვიდგას –  
სიკვდილის შიში.

2001



**ჩანს ისე, ვით წითელქუდა**

კოდალა კი არ ისვენებს,  
გარჯაშია იგი მუდამ,  
ახლაც ბაღში წიფელს კოდავს,  
და კრამიტით დახურული ციცქნა ოდა,  
სოფლის ბოლოს ჩანს ისე, ვით  
წითელქუდა.

1966



**ხატება ვენერა მილოსელის**

მიმწუხრის, ვარსკვლავთა ხმაურზე,  
იღება ცის ღურჯი კარი,  
მირიადი მკვდრის მზით მოხილი,  
გამოდის შიშველი მთვარე –  
ხატება-ვენერა მილოსელის.

1979



## ბილეთი

ვით შენს წინაპარს,  
გულის ჯიბეში  
კაცურ – კაცობის,  
გიდეკს ბილეთი  
და სხვა საჭურჭლე არავითარი,  
მინდა გაიგოს მთელმა მილეთმა,  
რომ სიღარიბით –  
შენ ხარ მდიდარი.

2001





## ფოთი

შორს –

წარსულ გემს ელოდება,

ქარიშხლის მხრებ-

აწურული

და ზღვის კარად კვლავ დგას ფოთი,

ქუჩაში კი ქალწულივით,

ტანწერწეტა –

წვიმა მოდის.


1959



## ხალიბო

ათასწლეულების წყვილადს –  
კვეთს პრომეთეს ცეცხლის ალი,  
მერე...  
მიწის ოგვაჯეში –  
რკინა ბოლავს,  
და ევფრატის ნაპირებზე ვხედავ  
ხალიბს,  
ვითარც პირმშოს ეფერება –  
მზისფერ ფოლადს.

1959





## მთვარის ხომალდი

ღურჯად ლივლივებს

ცის ოკეანე,

თეთრი ღრუბლების ქრიან

გედები,

მთები ჩანან, ვით ჩალის ძირები,

გამთენიისას მთვარის ხომალდი,

ვარსკვლავთა რიფებს წამოედება

და სიჩუმეში ჩაიძირება.

1969



\* \* \*

წითელ პერანგა წიწაკები  
ფერხულს უელიან –  
ხოლო მეზობლის კვასს –  
თურქულიას,  
ხელში უჭირავს ნაყოფები –  
სიმსხო მუჭების  
და ჩემს ეზოში უნდა გადმოსვლა  
და ღობის სარს ებღაუჭება.

1954



## მიიკვლევდნენ წყვდიადს მუღამ

სანამ იხილავდნენ ნათელს,  
მიიკვლევდნენ წყვდიადს მუღამ  
რწმენით –  
(რწმენა ღვთისგან იშვა),  
მუჰამედი,  
ბრაჰმა,  
ბუდა,  
ქრისტეც, შივაც და თვით კრიშნაც.


1991



აია

ვით დიღმუნში,  
მზე ტკბილ ხმებით,  
ამოჰყავდათ ოქროსფრთიან  
მაფშალიებს,  
ფეხისწვერზე იდგნენ მთები  
და უსმენდნენ მაფშალიებს,  
ქვეყნად უპირველეს ყოვლის,  
მეუფოდა სამართალი,  
არსაიდან არ ისმოდა ყვავე-ყორნების,  
არც ჩხავილი,  
არც ყრანტალი.

1994



## ჭანურ-ლაზურ და მეგრულ

ფიქრი ისევ დასტრიალებს –  
ნისლით მოსილ შუამდინარეთს,  
სურს ზღვებმაც ამოიციოს.  
ქვეყნად თუ ვინ, ვინ არი,  
რადგან, ჩემო!  
იქ ეგულვის  
სული –  
შორით მომდინარი,  
ჭანურ-ლაზურ და მეგრული.

1967





\* \* \*

ზვირთების ველურ ურდოებთან  
ბრძოლით დაღლილი,  
მიძინებული სანაპირო-  
აფრებს კვლავ გაშლის,  
როდესაც იგრძნობს ქარის  
შეხებას,  
დღეს ხელს უშვებს და მზე ჩადის  
ზღვაში,  
მაგრამ უკან რჩება ფეხები.

1991



## თოვლის სისპეტაკეში

როცა შემოდგომაზე,  
    ღებვა უამი ადრე მკის,  
კოლხურ ციდან როდესაც  
    ცვივა ფიფქთა მანანა,  
თოვლის სისპეტაკეში;  
    ვხედავ მეფე ადრეკის,  
    წმინდა სიმონ კანანელს  
და ანდრია მოციქულს –  
    ეგრისისკენ მიმავალს.


1963



## ამირანს და არამსუტუს

მითებმა და ლეგენდებმა,  
აღარ მისცეს დავიწყებას  
და ბოლომდე უერთგულეს:  
ამირანს და არამსუტუს  
და ჰერკულესს.

1976



## ღევის თვალა

აღარა ჩანს დიონისე,  
თუმც მოისმის ხმა ნადიმის,  
ქართველის გზაზე –  
პირველ დედად –  
ეკად მიდის:  
“მტრედის ფეხა”, “ღევის თვალა”,  
“ხე ვარდული,”  
“ღრუბელა” და “მტკვანდიდი”.\*

1977

---

\* ვახის ჯიშებია

\* \* \*

შენც, ვითარცა თეოლოგი,  
ზეციურის ნახვას ნატრობ,  
ლოცვას მიაქვს მეტი წილი...  
თუმცა სანთელს უნთებს  
პლატონს,  
იოანე პეტრიწივით.

1962



\* \* \*

დილით მამა მზეს ასწრებდა  
წამოდგომას,  
და უვლიდა ბაღს და ვენახს,  
ისე, ვით ნერჩს,  
ჩიტი უვლის,  
და იწვევდა უფლის ხილვად:  
ოჯალეში,  
ჩინური,  
და ჩიტილური.

1956



**სამებრელოს დალაშქვრა  
მერამდინედ!!!**

ცაზე და მიწაზეც,  
მტკვარზეც და ნილოსზეც,  
გელით გეჰქნია...  
ცრემლი და გოდება...  
ვაი, ქართველებო!  
ილოცეთ!.. ილოცეთ!..  
ო, იქნებ უფალმა,  
ცოტათი შეგიმსუბუქოთ ცოდვები.

1993



## გიბილი

ნაპერწკალი,  
რადგანაც მზის ერია,  
თაყვანს ვცემდი –  
ცეცხლის მისტერიას,  
რომელსაც მე ფსალმუნებში  
ვუმღერე,  
ჰყავდათ ცეცხლის ერთი ღმერთი –  
გიბილი,  
კოლხებსა და შუმერებს.

1969





## ევბეა და ქიოსი

ზღვა კვლავ დელავს ეგეოსის,  
რადგან მისი კუნძულები –  
ევბეა და ქიოსი,  
უამთა ნისლში ვედარ მალავს  
ლაზთა აფრებს,  
რადგან დრო თვალს წინ აპარებს,  
და...  
გადმომყავს წარსულიდან –  
ხსოვნის ძაფით,  
მზითმოსილი სული კოლხი წინაპარის.

1968



\* \* \*

როცა ზღვის კარად მწუხრი დაეცა,  
მოვიდა თოვლი –  
მოწყალების ძვირფას  
დასავით –  
ცის ლურჯი თაღის დასაფარავად,  
მიერეკება ღამე დასავლით  
ვარსკვლავების –  
ყვითელ ქარავანს.

1959



## ჰაზირას და სათარას

მოწყენილი დასცქერს ციხე მეტეხის  
მტკვარს და...  
ზვირთთა ნაღველ გამკრთალ დიმილში,  
არც ტივი ჩანს,  
არც დუღუკი,  
არც თარი,  
წუხს თბილისი: ჰაზირას და სათარას,  
საიათნოვას, იეთიმ გურჯს და  
გივიშვილს.

1964



\* \* \*

მეფე რამზესის საომარი ძველი  
ეტლებით,

ჩემი ქართული ცა და მინდორი –  
ასწლეულებმა გადაირბინეს,  
დაფნით შემოსეს სახე დიდგორის,  
კრწანისს –

დადგეს ეკლის გვირგვინი.

1991



**ხილვა: ფრიქსე**

ლეგენდა თუ სინამდვილე,  
კვლავ უამურ ფიქრებს მისევს,  
ეგეოსის ზღვას რომ ადევს  
ბოქლომად,  
ოქროს ვერძზე ამხედრებულს  
ვხედავ ფრიქსეს,  
კოლხეთისკენ მომქროლავს.

1967



## თეთრი არაგვი

მზე გამოჩნდება ფაფარაშლილი,  
როცა ცა გახსნის  
კლდეთა დარაბებს,  
თვალახევეული ნისლის ნაჭერით,  
შაგი კი არა,  
თეთრი არაგვი,  
მთებმა მცხეთასთან ჩამოაჭენეს.

1971



## 300 მარტუმა

ძეო ღვთისაჲ!

მზევ-ცისა! –

ოქროს ტახტზე მჯდომარევ,

შთაგონების მთიები,

ისევ ამითაგთავე,

რომ მე,

ვითარც მარტუმა,

სიყვარულით ხელთ ვიპყრო,

ცის და მიწის სათავე.

2000







\* \* \*

საკუთარ კანში ველარ ეტევა  
და თვალს უშტერებს  
ცის ლურჯ კიდუგანს  
ზღვა...  
და გულხარბი ხანდისხან  
ხოლმე,  
ფრთაშავ ქარიშხალს გაეკიდება,  
რომ ამაღლდეს და  
მოჰწყვიტოს ხოლმი.

1959



## ხალდეებსა და კასიტებს

სული კოლხი წინაპრის –  
შუამდინარეთს კი არა,  
ეგეოსის ზღვას იტევს,  
და ის ახლაც მოუხმობს  
ხალდეებსა და კასიტებს.

1966



## მთებზე არმაზის

ვითარც წარმართი,  
ისევ ვღებვარ მთაზე  
არმაზის,  
გადარეული ამ სილამაზით,  
სინათლით სავსეს ვიღებ მზეს თასად,  
შენ კი ვით აღრე,  
თუნდაც ღამრავე,  
მხოლოდ, ძვირფასო!  
ნახე მცხეთასთან,  
მტკვარში თავს როგორ იხრჩობს  
არავგი.

1978



**თეთნულდი, უშბა და შხარა**

თეთრი ღრუბლები ქარად მომკივანი,  
აისს ეგებებიან,  
სვანეთი –  
თოვლის ოკეანეა,  
თეთნულდი, უშბა და შხარა –  
აისბერგებია.

1988



\* \* \*

სიმყუდროვეში სადღაც,  
შორიდან,  
მომავალი მზის ისმის ღიღინი,  
და ღამე დილას მიაყურადებს,  
ცა –  
მოქათქათე მთვარეს –  
იღიმის,  
გახეული აქვს პირი ყურამდე.

1960



\* \* \*

მომკლა ხეტებამ უკვლოდ და უგზოდ  
და ახლა, როგორც  
რობინზონ კრუზო,  
მარტოსული და მიუსაფარი,  
მთვარესთან ახლოს,  
სადღაც ღრუბლების  
კუნძულზე ვსახლობ.

1996



\* \* \*

როცა ვერაფერს ვერ დააკლებენ  
წლები...

ო, მაშინ გარრინდებიან,  
ყოვლის მმუსრავი საუკუნენი,  
მაგრამ შენ თითსაც ვეღარ გახლებენ,  
ასე ჩაივლის ათასწლეული...  
ცაში ღმერთებთან დაესახლები,  
მიწად კი არა,  
საქართველოს ზეცად ქცეული.

2004



\* \* \*

მოგონებების მწუხარ ხეივანს –  
ყრმობის სიზმრები  
გაყვნი ნისლებად,  
ახლა ჩემს ცაზე აღარ ილევა –  
ფერნაკლულ დღეთა –  
ავარდისფრება  
და ღამეების აგვირილება.

2004





\* \* \*

ცისკრის ზარამდე მგლური ნაბიჯით,  
ვარსკვლავებს ზეცა  
ჰქონდათ დაეღილი,  
შავი ღრუბლების უდრანიდან  
ემუოდნენ ნათელს  
და მთებს აბჯენდნენ სისხლიან თათებს,  
გამთენიისას დაგლიჯეს ღამე  
და მშიერ დილას გადაუგდეს  
მოვარე ძვალივით.

1959



## რუსტიკე და იოანე

ვითარც შორეულ კოლხთა ნაშიერს,  
ათასხუთასი წელია მომსდევს  
აჯა ფარტაზის და აიეტის:  
რომ ვსდიო დღე და რომ ვსდიო ღამე  
და სასიკვდილოდ მეც გავიმეტო,  
ხობისწყლის პირას,  
მეფე გუბაზის  
მკვლელი რუსტიკე და იოანე.

1961



\* \* \*

ხატთან კვლავ ანთებ სანთელს,  
ლოცვას აღავლენ ღმერთთან,  
ამოეშრიტა თვალი –  
ჭიშკართან დამდგარ  
ლოდინს,  
ის შენი დედისურთა,  
არა და... აღარ მოდის.

1959



**ბ.შ.ს**

ვედები ფიქრის ღობეს და ყორეს,

რა ვქნა,

სახუქრად ლექსი რომ მთხოვე,

ნეტავი მქონდეს ერთი სტრიქონი,

თუნდ მიღეული,

ვით მოვარის ყუა,

მითხარი, როგორ გეტყვოდი უარს.

1956



\* \* \*

ოქროდ გიზგიზებს ცად მზის კოცონი –  
ზესთა სამყარო დიდი მგოსნების –  
ოცნებით მორწყული და  
მოვლილია,  
მნათთა თვალები ფიქრებით მაქვს  
ამოკოცნილი,  
მთოვარის შუბლი –  
ჩემი დარდით დათოვლილია.

2002



\* \* \*

ლეკენდიდან თუ სინამდვილიდან,  
სამი ათასი წელია მესმის,  
ცივი,  
ო, ცივი,  
ვითა ყინული,  
წმინდა ტაძარში დახოცილი  
ბავშვების კვნესა  
და კოლხ მედეას ხმა –  
განწირული.

1963



\* \* \*

ეტობა,  
ზღვასაც ეცვალა მხარი,  
ისტამბულისკენ მიდის, მიჰყავს  
მთვარე სნეული,  
ვით კოლხი დედა,  
შვილწართმეული,  
სანაპიროზე მიჰკივის ქარი,  
თმაგაწეწილი,  
ტანზე კაბა შემოსეული.

1961



## ნაღირობა

ქვა დაფროთხა და...

ხარ-ჯიხვებმა,

კლდეთა წვერი მიატოვეს,

მაგრამ წამსვე ცეცხლოვანი,

გამოვიდა ხმა ეხიდან,

რომელიც მთის სიმარტოვეს

და თეთრ ღამეს გაეკიდა.

1963





\* \* \*

მთაწმინდა შენთვის ჰელიკონია  
და პარნასია,  
ეს რომ ასეა  
და მართალია,  
ვით ღიონისეს მფარველ ძიძეხად,  
თავს დაგტრიალებს ერთად  
ცხრა მუზა,  
მაგრამ მათ შორის ეტრფის თალიას,  
ვითარცა ქალღმერთ იშთარს,  
თამუზა.

1980



\* \* \*

ღაღად გაშალე ფრთები ფასკუნჯის,  
ფრთები,  
ო, ფრთები,  
სხვა არაფერი,  
ღამის იქით კი გახსნილია  
მთვარის ჭიშკარი,  
უსამანოა სივრცე  
საფრენი,  
გამზიანდი და გაიცისკარე.

1999



## იყავი მშვიდი

ნულარ აჰყევი დამხრჩვალებს შურით,  
და დარდით ნულარ დაიწყვეტ  
ნერვებს,  
როგორც ყოველთვის, იყავი მშვიდი,  
რადგანაც გელის ჩანგით ხელში –  
ღვთაება შვიდი,  
ცად ამადლებულ ნათებას –  
მერვეს.

1974



\* \* \*

ღურჯ ღრუბლებში მოცურავე,  
ვერცხლისფრად ყელმოდერილი,  
კვლავ ქცეულა მოვარე –  
გულად,  
და მიჰყვება ღამის სურვილს,  
ვარსკვლავების აწევს სევდა  
ზღვას,  
ქარიშხლით პირშებურულს.

1982



## სამი მზე

ღვთიურ იღუმალებით –  
შენი, მგოსნის სამიზნე,  
კვლავაც არის მოცული,  
შენში სუფევს სამი მზე,  
სამივეზე ღოცულობ.


1964



\* \* \*

– შეხე, პანტა ვაშლს –  
 შემოდგომის ტოტს რომ ჰკიდია,  
 პანტა კი არა,  
 გადამჭენარი ჩემი გულია –  
 ზეთისხილის რტოდ და  
 ვაზის ლერწოდ,  
 დედაბერივით მიმჯდარა მთვარე  
 და ქარის ხელით –  
 თეთრ ღრუბლებს წეწავს.

1977



\* \* \*

შენ გადალახე რუბიკონი –  
კალმის მახვილით,  
არა ომებით,  
და ვით მეფეთა-მეფემ გიორგიმ,  
გარს შემოაწყვე ქორსატვევლას  
ციხეს –  
მესამე ათასწლეულის,  
შენი ლექსების ლეგიონები.

1999



## აფრა, ვითა სულიწმინდა

მიწის ქვაბში ზღვა დელავდა,  
მოკვდავთ ღოცვა იდგა ბინდად,  
ნათლის სვეტად ჩანდა ანძა,  
და აფრა, ვით სულიწმინდა,  
არწევდა ნავს –  
ქცეულს ტაძრად.

1963





**მე მგონია ძეგლი ენქის**

კოლხურ თქმულებებში მდგარი –  
მზით მოსილი მწვერვალები  
და მაღალი მთა თუბექის,  
შორიდან რომ ელვარებენ,  
მე მგონია ძეგლი ენქის.

1960



\* \* \*

ძმათა მტრობის ზღვა ისევ  
ბობოქრობს  
და სიძულვილის არ ჩანს ნაპირი,  
არაფერს ველი კვლავ არაფრიდან,  
უამი პირს აღებს გველეშაპივით,  
რომ ქართლი შთანთქას –  
აქვე,  
სარფიდან.

2001



\* \* \*

ელვა კი არა,  
პოსეიდონმა,  
გადააგელვა ზღვაზე თეთრონი  
და ნათებაა მისი ნაღების, –  
სიმყუდროვეს რომ ფერებად  
ერთვის,  
და ცის ტაძარში ცისფერ გალობას –  
წვიმის პატარა ანგელოზებს  
ასწავლის ღმერთი  
და უკავია ცისარტყელა, ვით კამერტონი.

1960



\* \* \*

სად სულერთია...  
დედამიწაზე, –  
სანამ ხსოვნის ხე ხარობს  
დარგული  
და სანამ ელვა ცაში იელვებს,  
მანამ ძვირფას მკედრებს  
და დაკარგულებს,  
თუნდაც გავიდეს წელი ათასი,  
თავის სამშობლო მაინც მიელის.

1991



\* \* \*

სადღაც ბნელში,  
ღამის იქით,  
ფერმკრთალი და მიღუული,  
მთვარე მოჩანს ერთი ციდა,  
ცას მიკარგულ ვარსკვლავების  
რეკვა  
მაინც მესმის ციდან.

1960



\* \* \*

მთები შეკრული კვლავ იდგნენ ულოდ,  
და დაცქეროდნენ შუახევს და  
ხულოს,  
შორს მინარეთთან მორჩილი ღამე,  
უხმობდა ალაჰს,  
ვითარცა ადრე,  
ჭოროხთან მთვარე შემოგხვდა წამით  
და აიფარა ღრუბლების ჩადრი.

1968



\* \* \*

მამულს გვტაცებენ და თან აქეთ  
გვანამუსებენ!!!

ეჰ!

საქართველო უცხო თესლით  
ისევ აივსო...

კახეთს “თათრები”..

და ქართლს ოსები –

ისე, ვით კრწანისს ყაყაჩოები,

შემოეხიზნენ სამარადისოდ.

1992



**წიგნი “კოლხური ფსალმუნები”**

პეი,

ვაჟა ეგრისელო!

შენი წიგნი კოლხეთივით,

ლეგენდაა და მითია,

და ჩაცქერის, ვით “სირაი”-ს\* –

“ვეფხისტყავეს” და

“დავითიანს”.

2001

---

\* სირაი – პირველხაწყისი (რუსთაველი).





\* \* \*

ორიათასი წლის მერე,  
ამოდი,  
ამოთავთაუდი –  
სიღურჯედ იასამანის,  
მზისა და სიბრძნის სავანეკ,  
ზღვაო,  
გულწრფელო ცათამდი.

1963



\* \* \*

ღამის იქით,

ფერმკრთალი და მიღუული,  
კაგკასიონის მთებიდან რომ  
მოედინება  
ფაზისი –  
სული არის კოლხეთის,  
პონტოს ზვირთები –  
მისი ნაგრამი,

ღამე –

მედუას გატაცებაა,  
ცა ვარსკვლავებმა რომ დააბრმავეს.

1990



\* \* \*

მოულოდნელად ფრთებით მიმწუხრის,  
კვლავ გაიელვა ცაში სატანამ  
და ღრუბლების ჩრდილი ზღვას  
დაეფინა,  
მერე ჩრდილს ქარმა დაუტატანა  
და გააქცია ნაპირისკენ  
დამფრთხლად დელფინად.

1987



## აჭარა

ო, აქ ყველაფერს უამი წარმართავს,  
ვერ მოაქციეს მაინც წარმართად  
დღეებმა:

ხულო,

ქედა,

შუახევი,

თუმც უფლის ნაკურთხ კალთებს

ახევდნენ,

წვავდა ქართული მზის აგონია –

პონტოს ნაპირზე დამდგარ გონიოს,

და ლოცულობდა ქრისტე ღმერთისთვის

ციხე თმოგვის და ციხე ხერთვისის,

კვლავ ჭვრეტს თამარის მზეს და

ალიონს,

მსხალთის მთები და ველი

ვაიოს.

1975

\* \* \*

კილიმანჯაროს მთასთან,  
რომ იგრიალა უცებ –  
ჰემენგუის თოფმა,  
სამყაროს ჟრუანტელად,  
ვით მაშინ, ახლაც უელის,  
რაღაა ჩვენი ყოფნა –  
სულ მუდამ ვაი!  
ეუი!

1989



\* \* \*

ვითარც ადრე,

ცად ვარსკვლავებს –

დილა მკის და მწუხრი თესავს,

მთვარის მაინც მოჩანს ქიმი,

გზად მიმავალ ურმის თვალში –

შიგ რომ კვნესის,

ო, ისაა გაჭირვება „სქან დო ჩქიმი“.\*

2000

---

\* „სქან დო ჩქიმი“ (მეგრ.) – შენი და ჩემი.



\* \* \*

მიწას –

მოდებულს მწვანე ბალახად,

რა ქნან,

დღეები ველარ გვიტყვენ,

ველარ აუღის ხსოვნა

ძვირფას მკვდართა ხსენებას,

ცივი ქვეყნისკენ გადამფრენი

ჩვენ ვართ ჩიტები

და ვხმობთ სიცოცხლედ –

ღამის ტოტზე ჩამოსვენებას.

1993



## მსხალთა

პროფ. მიხეილ მახარაძეს

წელი სამასი ჩასაყლაპავად

ელირებოდა,

როგორც ურჩხული,

ქრისტეზე მლოცველს და ღვთისებრ

მართალს,

ახლა შავი ზღვის ესმის ჩურჩული

ქართულად...

და ღმერთს მადლს სწირავს

მსხალთა.

2004





\* \* \*

ღელვის მინდორზე –  
ვარსკვლავებით დარახტულ  
ღამეს,  
დააგელვებენ ქარის რაშები –  
ამხედრებულებს შიშის „პაროლზე“,  
და ზღვას მიჯაჭვულს მიწის პალოზე,  
ამირანივით უნდა აშეგება.

1969



\* \* \*

შოორეულმა,

ღვთისმოსავმა წინაპრებმა,  
ქალაქ ურის ნანას ტაძარს,  
კიდევ ერთი –

მამაღმერთი მიამატეს  
და უნთებენ თაფლის სანთლებს:  
აფსუს,  
ნამუს,  
თიამათის.

1961



\* \* \*

უსასრულობაში ყრია პლანეტები –  
გველის ქერცლებად  
და ვარსკვლავთ ქერუჭებად  
და ნათებაა ირგვლივ მზიური,  
დედამიწა?

დედამიწის მეუჭეება,

ცაა –

მხოლოდ მარადიული.

1967



## კრეტა-მიკენი

ვჭერებ ძველ ევროპას  
 და აზიას,  
 რომ ჰყვავის კრეტა-მიკენია –  
 კოლხთა გულისთქმა რომ შელევია,  
 და თითზე მწარედ მიკბენია:  
 მისი შემოქმედი – პელაზგია,  
 ეტრუსკი,  
 დრიოპი და ლელეგია,  
 აწ დავიწყების ნავში მჯდარნი,  
 მწუხარება, ვითარცა ელეგია.

1961



\* \* \*

ვით უკვდავება სახეს მარილებს –  
მარსი,  
ვენერა  
და ოტაირიდი,  
თუმცა სამივე მხმობს აწყურივით,  
მაგრამ არ მიშვებს მიწა-ბებერი  
და ქვესკნელიდან მიეფუს  
ცერბერი,  
მასაც ჩემსავით კლავს მზის წყურვილი.

1980



\* \* \*

ცაზე ეცემა ჩრდილი გოდოლის  
და მამა-ღმერთი  
ტოვებს ბაბილონს,  
ირგვლივ ღამეა,  
განა მზე არის,  
მარადისობა სადღაც ყვავილობს,  
მეც იქ ამოვალ ცეცხლით –  
ზენარით.

2003



## აკთანდილს

ადრე მოსულხარ ჩემზე სამი წლით,

მე კი მეგონა:

მაინც დამიცდი,

მაგრამ ო, არა,

მარტო წახვედი...

და როგორც ჯუკუს, ოფას, ნიკასაც,

შენც დავიწყების ნისლი გებურვის,

თმას არ ივარცხნი,

პირს არ იპარსავ

და მელოდები წვერმოშვებული.

1992



## ტროაზე და ლემისზე

ტროაზე და ლემისზე  
ახლაც,  
დიდიხნის მერე,  
კოლხის ხატიც იელვებს, –  
სიმამაცის მთოველი,  
ჯიქურ გამოხედვაში:  
პელაზგ-არკადიელის  
და აზიელ-ტროელის.

1966





\* \* \*

ჩემთვის სიყვარული დავიტოვო  
და უნდა მივცე მისაცემი –  
შორეთს მიმავალ ქარების ციალს,  
თუმც ვარსკვლავები ცის საცერით –  
მარადისობას ცრიან  
და ცრიან...

1997



## უჯარმაში

ვახტანგის ხმა მესმა ქონგურზე  
უჯარმის  
და სპარსის –  
წივილი ისრისა.  
ნისლის ფთილა კი, ვითარცა გუჯარი,  
ამოეფარა უეცრად სათოფურს,  
თითქოს და ციხემ  
თვალი  
მოისრისა.

1976



\*\*\*

საუკუნეთა ნაპირს ასკდება  
და ჩემს ბობოქარ მკერდზე  
ხმიანებს,  
ზვირთთა კი არა,  
ფიქრთა ზვინები.  
ქარს მინდობილი ვარ ოკეანე,  
თვალეში დედამიწა –  
ჩამშტერებია  
დაუინებით.

1979



## მაკრის-მაკრალები

ცხოვრება თურმე ქარიშხალია,  
ვინ იცის ბედი,  
ვის რას არგუნებს  
და მიტომ ფიქრი თავს დაკანკალებს,  
შორს, ეგეოსის კუნძულებზე  
გადაკარგულებს –  
ჩემს დიდ წინაპრებს –  
მაკრის-მაკრალებს.

1961



სარჩევი

წინასიყვარობის მაგიერ.....	5
*** ცა – ტაძარია .....	25
*** გულზე რომ აწევთ .....	26
აკეს ოქროს მონეტა .....	27
*** ცისკენ აწვდილი .....	28
ფაზისიდან – .....	29
*** ხობისწყალში დინამიტს .....	30
ძალა ისევ მოვიკრიბე .....	31
*** ცოდვა-ბრალის ქარიშხალი .....	32
ძიმითში .....	33
*** მანანათი დაგვაპურა .....	34
*** ქვიშით გამომწვარ ზღვის .....	35
*** ქართულ მიწაზე იეები .....	36
გალაკტიონი .....	37
*** აგიყვანს გილიოტინაზე .....	38
*** პოეტა მეორე მოსვლაა .....	39
ერთი პოეტის პორტრეტი .....	40
შუამდინარეთი .....	41
ფრიგიას და გალატიას .....	42
*** ზოგიერთი პოეტი კი .....	43
ჩემი უძველესი კოლხეთი .....	44

ლილე .....	45
ტაოელთ და ფაზიანელთ .....	46
*** შიში .....	47
ჰკითხეთ კიროს ფაზისელს .....	48
*** ბოლოს მეორე .....	49
ჰკითხეთ სტრაბონს .....	50
*** აქ ცაში .....	51
ადრე კაბადოკიაში .....	52
*** შორეული წარსულიდან .....	53
*** ცის ჯვარზე ელვას .....	54
ეგბეაზეც და კორინთოს .....	55
*** უჩინმაჩინის ქუდი ახურავს .....	56
ოდისევსი .....	57
*** მცხეთასთან მთები .....	58
ეგრიბოსს ქიოსს და სქერიას .....	59
*** დასაბამიდან დღე და .....	60
*** ჩამავალი მზის ლაგა .....	61
მედეა .....	62
*** მაცხოვარის დგას ნათელი .....	63
უფალი .....	64
*** ეჰ! .....	65
სადღაც ხმა ისმის .....	66
*** სფეროებს და გალაქტიკებს .....	67

ურარტუს მეფისნაცვალი .....	68
*** ბუნებისა თუ უფლის .....	69
*** გაოცებული ვარსკვლავები .....	70
პართიის და თრაკიის .....	71
*** ოქროს ფრთებიან .....	72
კიდონელთ და დორიელებს .....	73
ზღვას მიწიდან უნდა .....	74
*** ქედები .....	75
*** ღელვის ბუდეში მსხდარი .....	76
*** მოსულთ შორეულ .....	77
მიწისძვრა მთაში .....	78
*** მთვარით შელოცვილ .....	79
აპიანე პომპეუსი .....	80
*** მწუხრში მჯარი დედამიწა .....	81
*** აწ მეოთხედი საუკუნეა .....	82
*** როცა მშობლიურ .....	83
*** დედამიწა კი სიბნელეში .....	84
ხალიბებს და ტიბარელებს .....	85
*** ქათქათებს ზეცა .....	86
ის კოლხია თმანუჭუჭა .....	87
ძველი ქართლი .....	88
*** შორ წარსულში .....	89
*** ომების ცეცხლით .....	90

ლიჭეხა და ლიკუტალე .....	91
მეძახის მზის სასწაული .....	92
*** გ.გ-ს .....	93
*** ჩვენ ვსხედვართ .....	94
ასირიის მეფე სარგონ .....	95
*** კვლავ წაეკიდნენ .....	96
*** ათასეული წლების .....	97
*** აღმოსავლით მიმავალი .....	98
*** შურის ციკნები .....	99
*** ვითარც წინათ .....	100
ღურსმული .....	101
დავითფერულის მონოლოგი .....	102
*** ბევრს ეცადნენ... ..	103
ჰიპერიონი .....	104
პითაღოროსი .....	105
დღე და ღამე როგორც .....	106
*** ჩვენ .....	107
*** შუაღამისას .....	108
*** მტკვარს დაშრეტია თვალში .....	109
*** ცას .....	110
*** გამთენიისას .....	111
ციდან დავმზერ დედამიწას .....	112
როგორც ბატკანი .....	113



*** უამს მიმწუხრისას .....	114
*** ბოლოს მეორე .....	115
აღბატროსები .....	116
ბრწყინავს ღამის ტადარი .....	117
ზღვის გაღმა .....	118
სამღერეთი .....	119
ისევ .....	120
შენ მამათ-მამის .....	121
ვითარც სიზიფეს .....	122
*** სადღაც მოისმის ყევა .....	123
*** ჩვენ რომ გვეგონა .....	124
*** ამ წუთისოფლის .....	125
*** ჩემი სპეტაკი სიყვარული .....	126
*** ცის აივანზე მსხდარი .....	127
*** ჩემს საფლავს უნდა .....	128
*** მზე ჩავიდა და მთვარე .....	129
*** აწ “ქალაქელს” .....	130
*** მორჩა! .....	131
ეკლები და სიწვები .....	132
მიწა იძრა? .....	133
*** შიგ კაკალგულში მხედება .....	134
ორი გიგანტი .....	135
*** მთიები .....	136

ანგელოზების გალობა .....	137
*** იელვა და უცებ ციდან- .....	138
ჭონტოს ტყემალი .....	139
*** ათასწლეულთა მდინარეები .....	140
*** სიმყუდროვეში დაუდევს .....	141
შაჰ-აბასი ელანდება .....	142
მეგრული ოდა .....	143
მიდის უფალი .....	144
*** თოლიებით დათოვლილი .....	145
*** ცა .....	146
*** ფეხზე აცვიათ ხამლი .....	147
ინტიმი .....	148
ამოდის ნათდება .....	149
ჩემი არდინი და მანა .....	150
ორი მარგალიტი .....	151
მერმეროსი და ფერეტე .....	152
ჩემი ბავშვობა .....	153
კოლხაც კილხაც კოლხეთია .....	154
*** მზეს მიელტვი ისევ ისე .....	155
მაჩაბელი .....	156
კოლხეთის დიდი ისტორიას .....	157
*** უხილავი მხეცის შიშით .....	158
ზღვაოსანი წინაპრები .....	159

*** ვარსკვლავებით მოქსოვილი .....	160
არმაზთან .....	161
არ ჩანს ყარაჩოლელი .....	162
მეხუთე საუკუნე .....	163
კოლხური ცა .....	164
სიკვდილის შიში .....	165
ჩანს ისე ვით წითელქუდა .....	166
ხატება ვენერა .....	167
ბილეთი .....	168
ფოთი .....	169
ხალიბი .....	170
ეგრისი .....	171
მთვარის ხომალდი .....	172
*** წითელ პერანგა წიწაკები .....	173
მიიკვლევდნენ წყვდიადს .....	174
აია .....	175
ჭანურ-ლაზურ და მეგრულ .....	176
*** ზვირთების ველურ .....	177
თოვლის სისპეტაკეში .....	178
ამირანს და არამხუტუს .....	179
დევის თვალა .....	180
*** შენც ვითარცა .....	181
*** დილით მამა მზეს .....	182

სამეგრელოს დალაშქვრა .....	183
გიბილი .....	184
ევბეა და ქიოსი .....	185
*** როცა ზღვის კარად .....	186
ჰაზირას და სათარას .....	187
*** მეფე რამზესის .....	188
ხილვა: ფრიქსე .....	189
თეთრი არაგვი .....	190
ვით მარდუქმა .....	191
ტაოხებს და ჰენიოხებს .....	192
*** საკუთარ კანში ვედარ .....	193
ხალდეხსა და კასიტებს .....	194
მთებზე არმაზის .....	195
თეთნულდი უშბა და შხარა .....	196
*** სიმყუდროვეში სადღაც .....	197
*** მომკლა ხეტებამ უკვლოდ .....	198
*** როცა ვერაფერს ვერ .....	199
*** მოგონებების მწუხარ .....	200
*** ცისკრის ზარამდე მგლური .....	201
რუსტიკე და იოანე .....	202
*** ხატთან კვლავ ანთებ .....	203
გ.შ.ს .....	204
*** ოქროდ გიზგიზებს ცად .....	205

*** ლეგენდიდან თუ .....	206
*** ეტყობა .....	207
ნადირობა .....	208
*** მთაწმინდა შენთვის .....	209
*** ლაღად გაშალე ფრთები .....	210
იყავი მშვიდი .....	211
*** ლურჯ ღრუბლებში .....	212
სამი მზე .....	213
*** – შეხე პანტა ვაშლს .....	214
*** შენ გადალახე რუბიკონი .....	215
აფრა ვითა სულიწმინდა .....	216
მე მგონია ძეგლი ენქის .....	217
*** ძმათა მტრობის .....	218
*** ელვა კი არა .....	219
*** სად სულერთია... .....	220
*** სადღაც ბნელში .....	221
*** მთები შეკრული კვლავ .....	222
*** მამულს გვტაცებენ .....	223
წიგნი „კოლხური“ .....	224
*** ორიათასი წლის მერე .....	225
*** ღამის იქით .....	226
*** მოულოდნელად ფრთებით .....	227
აჭარა .....	228

*** კლიმანჯაროს მთასთან .....	229
*** ვითარც ადრე .....	230
უჯარმაში .....	231
*** საუკუნეთა ნაპირს .....	232
*** მიწას .....	233
მსხალთა .....	234
*** ღელვის მინდორზე .....	235
*** შოორეულმა .....	236
*** უსასრულობაში ყრია .....	237
კრეცა-მიკენი .....	238
*** ვით უკვდავება სახეს მარიდებს ..	239
*** ცაზე ეცემა ჩრდილი .....	240
ავთანდილს .....	241
ტროაზე და ლემისზე .....	242
*** ჩემთვის სიყვარული .....	243
მაკრის-მაკრალეები .....	244

מכתב

"האגודה הישראלית לטיפול בבעיות" 100-800-1000  
האגודה הישראלית לטיפול בבעיות, פועלת להקמת מרכזים לטיפול  
בבעיות של ילדים, נערים ונוער, במסגרתם יפעלו מורים, חניכים  
ועובדי חינוך, יחד עם הוריהם, על מנת לסייע להם להתמודד עם  
בעיותיהם. האגודה פועלת גם להקמת מרכזים לטיפול בבעיות  
של נערים ונוער, במסגרתם יפעלו מורים, חניכים ועובדי חינוך,  
יחד עם הוריהם, על מנת לסייע להם להתמודד עם בעיותיהם.  
האגודה פועלת גם להקמת מרכזים לטיפול בבעיות של נערים  
ונוער, במסגרתם יפעלו מורים, חניכים ועובדי חינוך, יחד עם  
הוריהם, על מנת לסייע להם להתמודד עם בעיותיהם.  
האגודה פועלת גם להקמת מרכזים לטיפול בבעיות של נערים  
ונוער, במסגרתם יפעלו מורים, חניכים ועובדי חינוך, יחד עם  
הוריהם, על מנת לסייע להם להתמודד עם בעיותיהם.

מכתב  
2020



ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 36

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 36

გამომცემლობის

რედაქტორი

– ნარბიზ გოგია

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუშუბაძე

კორექტორი

– გულიკო გობიტიძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი

2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბახოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com